# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 126 (671) | ოთხშაბათი, 16 ივნისი, 1993 წელი | ფასი 10 კუპონი

## წუხელ შევიტყვეთ

### დელეგაცია თურქეთს გაემგზავრა

გუშინ თურქეთში ოფიციალური ვიზიტით გაემგზავრა საპარლამენტო დელეგაცია პარლამენტის სპიკერის ვახტანგ გოგუაძის ხელმძღვანელობით. დელეგაციის წევრები მონაწილეობას მიიღებენ შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეის მუშაობაში.

### ამერიკული ხორბალი — საქართველოსათვის

15 ივნისს დილით ფოთში შემოვიდა ტანკერი ამერიკული დროშით. მან საქართველოსათვის 27.850 ტონა ხორბალი ჩამოიტანა. როგორც აცნობეს საქინფორმის კორესპონდენტს ფოთის საზღვაო ნავსადგურში, აქ ყველაფერი მზად არის ძვირფასი ტვირთის მისაღებად. ახლა ნავსადგურის მუშებს გემთან მიაქვთ და ამონტაჟებენ სპეციალურ მოწყობილობას, რომლითაც ტანკერიდან მარცვალი გადაიტვირთება ბარჟაში და მიტანილი იქნება ნაპირზე. ნავსადგურთან უკვე მიყვანილია საჭირო რაოდენობის სარკინიგზო ვაგონებიც. უახლოეს ხანში ამერიკული ხორბლის პირველ პარტიებს მიიღებენ რესპუბლიკის სამრეწველო ცენტრები.

### შორაპნელთა აქცია შეწყდა

გუშინ, ნაშუადღევს, შეწყდა აქცია, რომელიც 14 ივნისს 17 საათზე ზესტაფონის რაიონის დაბა შორაპნის მოსახლეობამ მოაწყო — გადაკეტა ცენტრალური სარკინიგზო მაგისტრალი.

აქციის მონაწილეები მოითხოვდნენ მოსახლეობის პურით და სხვა პროდუქტებით მომარაგების გაუმჯობესებას.

ამ შემთხვევის გამო შორაპანში სასწრაფოდ ამოვიდნენ რაიონის გამგებელი ამირან კაკაურიძე და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები, რომლებმაც მოსახლეობას განუმარტეს, საქართველოში შექმნილი რთული პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების გამომწვევი მიზეზები, და რესპუბლიკის მთავრობის დახმარებით და ადგილობრივი საშუალებებით მდგომარეობის სასწრაფო გაუმჯობესებას დაჰპირდნენ.

მაგრამ ამან არ გაჭრა. აბორგებულმა მოსახლეობამ მთელი ღამე რკინიგზაზე გაათია. შეჩერდა სამგზავრო მატარებლების მოძრაობა.

გუშინ დილით აქციის მონაწილეებს შეუერთდნენ სხვადასხვა პარტიის წევრები და მრავალშვილიანი დედები, რომლებმაც აიყოლიეს შორაპნელები და სხვა მოთხოვნებთან ერთად ახლა რესპუბლიკის მთავრობის გადადგომის მოთხოვნასაც აყენებენ.

შუადღისას აქციის მონაწილეებთან მივიდნენ შემთხვევით ზესტაფონში მყოფი პარლამენტის წევრი ვანო ხუხუნაიშვილი და სახელმწიფო მეთაურის აპარატის რეგიონის კურატორი მიხეილ მარი, რომლებიც აქციის მშვიდობიან დაშლას ცდილობდნენ.

გუშინ ნაშუადღევს, როგორც აღვნიშნეთ, აქცია შეწყდა.

ჰენრი შარიქაძე.

## ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი
მოვლენა
კომენტარი

---

### ჭამა ქონებაზე ჰკიდია, ქონება — მუხლჩაუხრელ შრომაზე

## როცა ჯერ კიდევ ნამი არ შემშრალა...

დილაჟდრიან, როცა ჯერ კიდევ ნამი არ შეშრობია ყვავილებს, გამოდიან ყაზანლიყის ვარდის, ნემსიწვერის საკრეფად ლაგოდეხის ეთერზეთოვანი ქარხანა-მეურნეობის მშრომელები. მათ უნდა მოკრიფონ 80 ტონა ვარდი, რომლისაგანაც გამოიმუშავებენ 78 კილოგრამ უძვირფასეს ვარდის ზეთს, ურომლისოდაც ვერ იმუშავებენ პარფიუმერები. ლაგოდეხის პროდუქციას ელიან თბილისის ქარხანა „ივერიაში", მოსკოვის კომბინატ „ნოვაია ზარიაში".

ეთერზეთოვანთა პლანტაციებში, რომლებსაც დაახლოებით 860 ჰექტარი უჭირავს, მოჰყავთ აგრეთვე რეჰანი, აბზინდა. წლევანდელ სეზონში საწარმო 2 ათას ტონა ნედლეულს გადაამუშავებს.



**სურათებზე:** აგრონომი მერაბ ქურდაშვილი, მკრეფავი მარინე ქუმელაშვილი და ლაგოდეხის ეთერზეთოვანი ქარხანა-მეურნეობის დირექტორი გელა გველესიანი (მარცხნიდან მარჯვნივ) ვარდის კრეფისას; მექანიზატორ ვლადიმერ მარკუშინს პლანტაციებიდან ქარხანაში გადააქვს ნედლეული.

ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

---

# დებულება

## ვალუტის გადამცვლელი პუნქტების გახსნისა და ფუნქციონირების შესახებ

1. „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად ეროვნული ბანკი რეგისტრაციაში ატარებს და აძლევს ლიცენზიას რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს ნაღდი უცხოური ვალუტის შესყიდვა-გაყიდვის მიზნით ვალუტის გადამცვლელი პუნქტების გახსნაზე.

2. ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისათვის და ლიცენზიის მისაღებად ორგანიზაციამ ეროვნულ ბანკს უნდა წარუდგინოს შემდეგი საბუთები:

— წერილი, რომელშიც აღნიშნული იქნება ორგანიზაციის სრული დასახელება, მისამართი, მისი მომსახურე ბანკის სრული რეკვიზიტები და ტელეფონის ნომერი, მონაცემები იმის შესახებ, რომ ორგანიზაცია მზად არის აწარმოოს სავალუტო ოპერაციები: კერძოდ, აქვს სხვა სამსახურებისაგან იზოლირებული ფართი, სადაც შეუძლია გახსნას ვალუტის გადამცვლელი პუნქტი, გამომთვლელი ტექნიკა, ვალუტის (ბანკნოტის) ვარგისიანობის დასადგენი საშუალებები (ტესტერი), ჰყავს მუშაკი, რომელმაც რომელიმე რწმუნებულ ბანკში გაიარა პრაქტიკა და შეისწავლა ვალუტასთან მუშაობა, შეუძლია ფასეულობის დაცვა პუნქტში;

— შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ცნობა აღრიცხვაზე აყვანის შესახებ;

— სანოტარო კანტორის მიერ დამოწმებული მოცემული ორგანიზაციის წესდება.

3. ფიზიკურმა პირებმა რეგისტრაციისათვის და ლიცენზიის მისაღებად ეროვნულ ბანკს უნდა წარუდგინონ განცხადება, რომელშიც ნაჩვენები იქნება სახელი, მამის სახელი (სრულად) და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, მონაცემები იმის შესახებ, რომ აქვს ფართი, სადაც შეუძლია გახსნას გადამცვლელი პუნქტი, ვალუტის (ბანკნოტის) ვარგისიანობის განსაზღვრის საშუალება (ტესტერი).

4. ეროვნული ბანკი ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების განცხადებებს ლიცენზიის მიღების შესახებ განიხილავს ერთი თვის განმავლობაში.

5. ლიცენზიის ღირებულებას ორგანიზაციების და ფიზიკური პირებისათვის განსაზღვრავს ეროვნული ბანკი კვარტალში ერთხელ.

6. ლიცენზია ორგანიზაციებსა და ფიზიკურ პირებს მიეცემათ შესაბამისად 12 და 6 თვით.

იმ შემთხვევაში, თუ ისინი დაიცავენ ამ დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ლიცენზია გაუგრძელდებათ ავტომატურად.

ეროვნულ ბანკს უფლება აქვს გააუქმოს ლიცენზია იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაცია ან ფიზიკური პირი არ იცავს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ აღნიშნული საქმიანობის მარეგულირებელ წესებს.

7. ორგანიზაციები და ფიზიკური პირები ვალდებული არიან უზრუნველყონ ფასეულობის დაცვა გადამცვლელ პუნქტებში.

8. პირები, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ ვალუტის შესყიდვასა და გაყიდვას, ავსებენ ბანკის ქვითარს 2 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეძლევა კლიენტს, ხოლო მეორე რჩება პუნქტში.

9. გადამცვლელი პუნქტები ვალუტის შესყიდვას და გაყიდვას აწარმოებენ ეროვნული ბანკის კურსებზე ორიენტირებული მათ მიერ დადგენილი საბაზრო კურსით.

10. კლიენტის თხოვნით გადამცვლელ პუნქტს შეუძლია გასცეს სახელობითი ცნობა ვალუტის შესყიდვა-გაყიდვაზე, ამ შემთხვევაში კლიენტმა უნდა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი საბუთი.

11. კლიენტის თხოვნით გადამცვლელ პუნქტს შეუძლია ერთი დასახელების ვალუტა გაცვალოს სხვა დასახელების ვალუტაზე. ამ ოპერაციის ჩატარებაში გადამცვლელ პუნქტს შეუძლია აიღოს საკომისიო გასამრჯელო თავისი შეხედულებით.

12. პირი, რომელიც აწარმოებს პუნქტში ვალუტის შესყიდვა-გაყიდვას, პასუხისმგებელია ყალბი ფულის მიღებისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. გადამცვლელი პუნქტები მოსახლეობისაგან შეძენილ ვალუტას ყიდიან ისევ მოსახლეობაზე.

14. გადამცვლელი პუნქტი აწარმოებს შესყიდული და გაყიდული ვალუტის აღრიცხვას სპეციალურ ჟურნალში, რომლის გვერდები უნდა იყოს დანომრილი, ზონარგაყრილი, დაპლომბილი, დალუქული და ეროვნული ბანკის ბეჭდით დამოწმებული.

15. ვალუტის გადამცვლელი პუნქტები ხსნიან მიმდინარე სავალუტო ანგარიშებს ნებისმიერ რწმუნებულ ბანკებში.

16. ორგანიზაციები და კერძო პირები, რომლებიც ხსნიან გადამცვლელ პუნქტებს და განახორციელებენ ვალუტის შესყიდვა-გაყიდვის ოპერაციებს, სავალდებულო გადასახადს იხდიან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

17. ვალუტის გადამცვლელ პუნქტებს უფლება არა აქვთ გახსნან ფილიალები.

18. ვალუტის გადამცვლელ პუნქტებს ეკრძალებათ განახორციელონ სამეურნეო-კომერციული საქმიანობა გარდა ნაღდი უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვისა.

19. გადამცვლელი პუნქტები წარუდგენენ ანგარიშგებას საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის სავალუტო-ეკონომიკურ სამმართველოს, მის მიერ დადგენილი ფორმითა და ვადებში.

20. საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი ამოწმებს ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მიერ ლიცენზიაში გათვალისწინებული პირობების დაცვას.

დებულება დამტკიცებულია 1993 წლის 14 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის პრეზიდენტის **დემურ დვალიშვილის** მიერ.

---

# რუსეთი ყარაბაღის რუკაზე

### ყარაბაღის რესპუბლიკის უარი — მხარი დაუჭიროს ამერიკა-რუსეთ-თურქეთის სამშვიდობო ინიციატივას — წააგავს ბოსნიელ სერბთა უარს ვენს-ოუენის გეგმაზე

მაგრამ ბოსნიელ სერბთა თავზე ჰკიდია გაეროს გაერთიანებული ძალების სამხედრო ჩარევის დამოკლეს მახვილი. ყარაბაღელ სომხებს კი, ისევე როგორც ყოფილი სსრ კავშირის „ცხელი წერტილების" სხვა ეთნიკურ უმცირესობებს, ასეთი საფრთხე რეალურად არ ემუქრებათ. ამას თავისი მიზეზები აქვს. ბორის ელცინისა და ჯორჯ ბუშის 1993 წლის იანვრის შეთანხმებამ ფაქტობრივად რუსეთს მიანიჭა ჟანდარმის ფუნქცია თანამეგობრობის ქვეყნების ტერიტორიაზე. სწორედ მაშინ გახდა ნათელი, რომ „ცისფერმუზარადიანები", რომლებსაც იუგოსლავიაში ხელი მოეცარათ, არ შემოვლენ ყოფილი კავშირის ტერიტორიაზე. სწორედ ამან განაპირობა მთიანი ყარაბაღის თავზეხელაღებული ტაქტიკა, რომელიც ძალის იმედით არის.

ყარაბაღმა ამჟამადაც მტკიცე უარი თქვა მხოლოდ იმიტომ, რომ მას ზურგს უმაგრებს სამხედრო-ტექნიკური უპირატესობა და პოლიტიკური ძალა, იარაღი, ნავთობი, სომხეთის კრედიტები, რომლებსაც რუსეთის მეშვეობით იღებს.

სტეფანაკერტში პერმანენტული კონფრონტაციის ვითარებაში ფაქტობრივად გასამხედროებული სახელმწიფო შეიქმნა. ეს სიტუაცია ემთხვევა მოსკოველი გენერლების ინტერესებს, რომლებიც ამჯობინებენ შეინარჩუნონ თავიანთი გავლენა აზერბაიჯანზეც და სომხეთზეც. სტეფანაკერტის შეუპოვრობამ თავისი ნაყოფი გამოიღო: ევროთათბირის მოლაპარაკების მორიგ რაუნდზე 6 ივნისს მიწვეული იყო ყარაბაღის დელეგაციაც, თუმცა, მხოლოდ სათათბირო ხმის უფლებით.

განსაკუთრებით „იახელა" თავი ყარაბაღმა, როგორც მოვლენათა დამოუკიდებელმა მონაწილემ, კელბაჯარის ბრძოლების დროს. სომხეთმაც და ყარაბაღმაც ეს აქცია „სამხედრო აუცილებლობით" დაასაბუთეს. ამის შედეგად მოხდა აზერბაიჯანის იმ ტერიტორიის ანექსირება, რომელიც ყარაბაღს არ ეკუთვნოდა.

მაგრამ სწორედ აქ მოუვიდა პოლიტიკური იალღში რუსეთს, რომელიც ყარაბაღის სამხედრო ძლიერებას ეყრდნობოდა. გაქრა მსოფლიო საზოგადოებრიობის თანაგრძნობა ყარაბაღელი სომხებისადმი, ხოლო მას შემდეგ, რაც გაეროს უშიშროების საბჭომ გამოიტანა რეზოლუცია კელბაჯარის რაიონიდან „სომეხთა ეთნიკური ძალების" გამოყვანის შესახებ, სომხეთის ეკონომიკურ ბლოკადას დაემატა როგორც სომხეთის, ისე ყარაბაღის გეოპოლიტიკური ბლოკადა.

რუსეთმა გაეროს რეზოლუციას უპასუხა რუსეთ-ამერიკა-თურქეთის ინიციატივის დაჩქარებით, რამაც საშუალება მისცა, რომ შეენარჩუნებინა თავისი აქტიურობა კონფლიქტის ზონაში. ყარაბაღის მიმართ ალბათ მოულოდნელი [illegible] ყარაბაღის რესპუბლიკა გადაიქცა დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად, რომელსაც სხვებთან ერთად თვით რუსეთმაც უნდა გაუწიოს ანგარიში.

არადა, სწორედ ასეთი შედეგის განჭვრეტა არ იყო ძნელი საქმე. ყარაბაღმაც და სომხეთმაც (ჯერ კიდევ კონფლიქტის ადრეულ სტადიაში) ბევრი ქვეყანა აიმხედრეს. უახლოეს მეზობელს — თურქეთს, რომელმაც დახმარების ხელი გამოუწოდა, უარი სტკიცეს. ირანმა მშვიდობისმყოფელური მისიების ორი მარცხის შემდეგ ხელი აიღო დიპლომატიურ ცდებზე გავლენა მოეხდინა სომხეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობებზე. ევროთათბირი კი არაორაზროვნად უსვამს ხაზს მთიან ყარაბაღში თავისი მისიის ჰუმანიტარულ ხასიათს.

რუსეთის პოლიტიკამ — შეენარჩუნებინა გავლენა სომხეთშიც, აზერბაიჯანშიც და ყარაბაღშიც, ამჟამადაც აშკარა მარცხი განიცადა. ამის ახალი დასტურია არა მარტო სამშვიდობო ინიციატივის ჩაშლა, არამედ სიკვდილის განაჩენიც, ხუთ რუს სამხედრო მოსამსახურეს რომ გამოუტანა აზერბაიჯანის სამხედრო პროკურატურამ (ყარაბაღმა პასუხად უკვე განაცხადა, რომ სამხედრო მოსამსახურეთა დახვრეტის შემთხვევაში იგი სიკვდილით დასჯის ყველა აზერბაიჯანელ სამხედრო ტყვეს).

წინ კი ახალ-ახალი გართულებებია მოსალოდნელი. ძრცნობით განაწყენებული ყარაბაღი უკვე სერიოზულად ილტვის, რომ მოიპოვოს სტატუსი აზერბაიჯანისა და სომხეთის გარეშე. საერთაშორისო ორგანიზაციების უმოქმედობა [illegible] რუსეთის [illegible] აგულიანებს მთიან [illegible] [illegible]

ვლადიმერ ემელიანენკო.

სხვა გაზეთებიდან:

МОСКОВСКИЕ НОВОСТИ
ЕЖЕНЕДЕЛЬНАЯ ГАЗЕТА
№ 23.

## დოსიე „მნ"

### საერთაშორისო მშვიდობიანი ინიციატივები მთიანი ყარაბაღის შესახებ:

**1991 წ. სექტემბერ-ოქტომბერი** — რუსეთ-ყაზახეთის წინადადებები საპარლამენტთაშორისო კომისიის შექმნის შესახებ მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქსა და სომხეთ-აზერბაიჯანის სასაზღვრისპირა რაიონებში კონფლიქტში ჩაბმული მხარეების დაშორიშორების თაობაზე.

**1991 წ. ნოემბერ-დეკემბერი** — ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის ველაიათის მისია სტეფანაკერტში, ბაქოსა და ერევანში და მისი წინადადება შექმნილიყო ჰუმანიტარული კორიდორი მთიან ყარაბაღში.

**1990 წ. გაზაფხული;** 1991 წ. გაზაფხული (აპრილი-მაისი); 1992 წ. იანვარი — ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მდივნის ირჟი დინსტბირის ვიზიტი მთიან ყარაბაღში იმ მიზნით, რომ ჰუმანიტარული დახმარება აღმოეჩინათ ლტოლვილთათვის და საარტილერიო ცეცხლით დაზარალებულთათვის სასაზღვრისპირა რაიონებში — სომხეთში (ვარდენისი, გორისი, კრასნოსელსკი) და აზერბაიჯანში (გაზახი, კელბაჯარი, ფიზული).

**1992 წ. ზაფხული** — ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს ექსპერტთა განმეორებითი ვიზიტი (უმინისტროდ, მისი მოადგილის დონეზე).

**1992 წ. შემოდგომა** — „გობლის გეგმა" — კონგრესმენ პოლ გობლის არაოფიციალური წინადადება ტერიტორიული გაცვლის შესახებ: სომხეთი მიიღებდა ყარაბაღის ნაწილს, აზერბაიჯანი — სომხეთის მეგრი-ზანგეზურის რაიონს, რომელიც მას თურქეთთან დააკავშირებდა.

**1992 წ. დეკემბერი** — ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის და მთიანი ყარაბაღის თაობაზე რომის კონფერენციის (18 მონაწილე ქვეყანა და ერთი მეთვალყურე) წინადადება ცეცხლის 30 დღით შეწყვეტისა და მხარეთა დაშორიშორების შესახებ.

**1993 წ. იანვარი** — რუსეთ-ამერიკის შეთანხმებები პრეზიდენტთა დონეზე „...ამიერკავკასიაში კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგე[illegible]" შესახებ.

[illegible] თურქეთის მშვიდობიანი ინიციატივა [illegible] დონეზე, რომელიც ითვალისწინებდა [illegible] ცეცხლის შეწყვეტას [illegible]

**1993 წ. მაისი** — [illegible] ჯანის კელბაჯარის [illegible] გამოყვანის, 60 [illegible] ცეცხლის შეწყვეტისა და მშვიდობიან მოლაპარაკებათა განგრძობის შესახებ.

---

## ნომერშია

- როგორ ესახებათ „რესპუბლიკელებს" სახელმწიფო ხელისუფლების კრიზისის დაძლევის გზები. 2-3
- სათქმელი უნდა ითქვას, ანუ 20 წელს რა გვაცდევინებს! 4

## ედუარდ შევარდნაძემ მიიღო სომხეთის პრემიერ-მინისტრი

15 ივნისს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა **ედუარდ შევარდნაძემ** მიიღო სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი **გრანტ ბაგრატიანი**, რომელიც ჩამოუძღვა ამ ქვეყნის სამთავრობო დელეგაციას. განიხილეს ენერგორესურსების, ხორბლის მიწოდებასთან დაკავშირებით ორმხრივ ვალდებულებათა საკითხები, სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივები საქართველოს სახელმწიფო დელეგაციის ერევანში ამასწინანდელი ვიზიტის დროს მიღწეული შეთანხმებების მიხედვით, სხვა პრობლემები, კერძოდ, შეეხნენ უზბეკეთის ტერიტორიის გავლით თურქმენეთის გაზის მიწოდებასთან დაკავშირებულ სირთულეებს, რამაც გამოიწვია ბუნებრივი საწვავის ტრანზიტისათვის ფასების ერთი-ორად და მეტად მომატება.

ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ სომხეთში მისი ვიზიტის დროს მომზადდა სამართლებრივი ბაზა საქმიანობის ყველა სფეროში ორი მეზობელი ქვეყნის ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის.

სომხეთის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ კმაყოფილია თავის ქართველ კოლეგასთან თენგიზ სიგუასთან მოლაპარაკებით.

საქართველოს საინფორმაციო სააგენტოს კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში გრანტ ბაგრატიანმა განაცხადა, რომ დღეს ორი ქვეყნის წინაშე დასახულია ამოცანა დაიძლიოს ახლანდელი პერიოდის სირთულეები, ერთად კი ამის განხორციელება გაცილებით უფრო იოლია.

უპასუხა რა მთიან ყარაბაღში კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ კითხვას, პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ ყარაბაღი უნდა გახდეს მოლაპარაკებაზე ერთ-ერთი მხარე, და როგორც ჩანს, ეს საკითხი უკვე დადებითად გადაწყდა.

---

საქართველოს რესპუბლიკა

## ძვირფასო მკითხველო!

დაიწყო და ყველა საფოსტო განყოფილებაში შეუფერხებლად მიმდინარეობს „საქართველოს რესპუბლიკის" გამოწერა წლის მეორე ნახევრისათვის.

**ჩვენი პრინციპია — მკითხველისთვის და მკითხველთან ერთად! ჩვენი კრედოა — ეროვნული შერიგება, დემოკრატია, თავისუფლება და კეთილდღეობა! თუ ჩვენთან ხართ — გამოიწერეთ «საქართველოს რესპუბლიკა».**

სამწუხაროდ, როგორც ყველაფერი, გაზეთის გამოცემაც გაძვირდა, ამიტომ მოიმატა ხელმოწერის ფასმა, მაგრამ იგი მაინც ნაკლებია „საქპრესის" ჯიხურებში გასაყიდი გაზეთის ნომრის ფასზე.

**1 ივლისიდან დეკემბრის ჩათვლით გაზეთის გამოწერა მხოლოდ 1320 კუპონი დაგიჯდებათ, 3 თვით — 660, ხოლო ერთი თვით — 220 კუპონი.**

ჯიხურებში „საქართველოს რესპუბლიკა" მინიმუმ 15 კუპონად გაიყიდება.

გაცნობებთ, რომ ყველას, ვისაც წლის ბოლომდე გამოწერილი აქვს ჩვენი გაზეთი, დაპირებისამებრ, დაუბრკოლებლად, ფასთა სხვაობის დამატების გარეშე, შინ მიუვა „საქართველოს რესპუბლიკის" ყველა ნომერი.

საქართველოს რესპუბლიკა

---

### კარიკატურისტის თვალით



რომან კარკუსაშვილის ნახატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება

# საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სავალუტო ფონდის ფორმირების შესახებ

**საქართველოს** რესპუბლიკის სახელმწიფო საგარეო ვალის დაფარვის, მომსახურებისა და სხვა სახელმწიფო მნიშვნელობის ღონისძიებათა დაფინანსების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილიზაციის მიზნით ცენტრალიზებული სავალუტო სახსრების მოსაზიდად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სავალუტო ფონდი, რომლის შემოსავალში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხება უცხოური ვალუტით მიღებული შემოსავალი, სესხები, საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე შეძენილი უცხოური ვალუტა და სხვა შემოსავალი.

სახელმწიფო სავალუტო ფონდი რესპუბლიკური ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილია და მისი სახსრები გამოიყენება რესპუბლიკის სახელმწიფო საგარეო ვალის დაფარვისა და მომსახურების, რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი და სხვა ღონისძიებების დაფინანსებისათვის.

2. დაწესდეს 1993 წლის 15 ივნისიდან რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოს, განურჩევლად მისი საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების რეალიზაციით მიღებული უცხოურ ვალუტაში ამონაგებიდან საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სავალუტო ფონდისათვის ყველა სახეობის უცხოური ვალუტის სავალდებულო მიყიდვის ერთიანი ნორმატივი 20 პროცენტის ოდენობით მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე სავალუტო ბირჟაზე ჩამოყალიბებული უცხოური ვალუტის მიმართ საქართველოს ეროვნული ვალუტის კურსის შესაბამისად, ანგარიშსწორების მომენტში, რომელსაც აწესებს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი.

სარკინიგზო, საზღვაო, საჰაერო და საავტომობილო ტრანსპორტით მომსახურების, ტვირთის სადაზღვევო და საექსპედიციო მომსახურების სავაჭრო-საშუამავლო და საბანკო ოპერაციების, ტურიზმისა და კულტურის დარგში მომსახურებიდან მიღებული უცხოური ვალუტის ამონაგების მიმართ სავალდებულო შესყიდვის ნორმატივი გამოიყენება მომსახურების შესრულებისას უცხოურ ვალუტაში შემოსავლების სავალუტო ხარჯებზე გადანამეტი თანხების მიმართ.

3. საწარმოების სავალუტო ამონაგების 2 პროცენტი მიეყიდება ავტონომიური რესპუბლიკების სავალუტო ფონდებს, ქალაქებისა და რაიონების მმართველობის ადგილობრივი ორგანოების სავალუტო ფონდებს.

4. ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილიზაციისა და შიდა სავალუტო ბაზრის ფორმირების მიზნით 1993 წლის 15 ივნისიდან შემოღებულ იქნეს ყველა საწარმოთა სავალუტო ამონაგებიდან საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკზე სავალდებულო მიყიდვის ნორმატივი 10 პროცენტის ოდენობით საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული კურსის შესაბამისად. ამ სახსრების გამოყენება შეიძლება მხოლოდ ვალუტის კურსის სტაბილიზაციისა და შიდა სავალუტო ბაზრის ფორმირებისათვის.

5. სავალდებულო მიყიდვას არ ექვემდებარება არარეზიდენტებისაგან უცხოური ვალუტის შემდეგი შემოსულობანი:

— საწესდებო კაპიტალში (ფონდში) შენატანების სახით შემოსულობანი, აგრეთვე შემოსავლები (დივიდენდები), რომლებიც მიღებულია კაპიტალში მონაწილეობისათვის;

— ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები, აგრეთვე შემოსავლები (დივიდენდები) ფასიანი ქაღალდებიდან;

— მოზიდული კრედიტების (დეპოზიტების, ანაბრების) სახით შემოსულობანი, აგრეთვე თანხები, რომლებიც შემოსულია გაცემული კრედიტების (დეპოზიტების, ანაბრების) დასაფარავად, დარიცხული პროცენტების ჩათვლით;

— საქველმოქმედო შემოწირულობანი.

6. სავალდებულო მიყიდვის შემდეგ უცხოური ვალუტის ამონაგების დარჩენილი ნაწილი გამოიყენება საწარმოთა სავალუტო ფონდების ფორმირებისათვის. საწარმოთა სავალუტო ფონდების სახსრები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი საქმიანობისათვის, რომელიც მოქმედი კანონმდებლობით არ არის აკრძალული.

7. საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) რეალიზაციიდან უცხოურ ვალუტაში ამონაგები ჩაირიცხება საწარმოთა სავალუტო ანგარიშებზე, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ იმ ბანკებში (შემდგომში „რწმუნებული ბანკები"), რომელთაც საქართველოს ეროვნული ბანკისაგან მიღებული აქვთ სავალუტო ოპერაციების წარმოების ნებართვა (ლიცენზია).

იურიდიული პირები, რომლებსაც ამ დადგენილების მიღების მომენტისათვის საზღვარგარეთ ანგარიშებზე აქვთ სავალუტო სახსრები, ვალდებული არიან დადგენილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში ჩარიცხონ ისინი თავიანთ ანგარიშებზე რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ რწმუნებულ ბანკებში. სახსრები, რომლებიც დადგენილ ვადაში არ იქნება ჩარიცხული ანგარიშებზე რწმუნებულ ბანკებში, ცხადდება საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად და ჩაირიცხება რესპუბლიკის სახელმწიფო სავალუტო ფონდში.

საზღვარგარეთ ანგარიშის გახსნა შეიძლება განხორციელებულ შემთხვევაში, ეროვნული ბანკისა და ფინანსთა სამინისტროს ნებართვის საფუძველზე.

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ და საქართველოს რესპუბლიკის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტმა ორი კვირის ვადაში შეიმუშაონ წინადადება საზღვარგარეთ ანგარიშებზე რიცხულ საწარმოთა სავალუტო სახსრების რესპუბლიკის სახელმწიფო სავალუტო ფონდში ამოღების უზრუნველსაყოფად.

8. საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) ექსპორტიორი საწარმოები ვალდებული არიან საბაჟო დეკლარაციაში უჩვენონ რწმუნებული ბანკის რეკვიზიტები და სრული დასახელება, რომლის მეშვეობითაც ხდება საზღვარგარეთელ პარტნიორთან ანგარიშსწორება, აგრეთვე სავალუტო შემოსავლების მიღების ვადა.

საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო კომიტეტი სავალდებულო შესყიდვის კონტროლის მიზნით რეგულარულად (თვეში ერთხელ) წარუდგენს საბაჟო დეკლარაციაში აღნიშნულ რწმუნებულ ბანკებსა და საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკს საბაჟო დეკლარაციის რეესტრს, რომლის საფუძველზეც საზღვარგარეთ გაშვებული იქნა საექსპორტო ტვირთი.

9. მიეცეს რეკომენდაცია საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან და საქართველოს რესპუბლიკის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტთან შეთანხმებით 1993 წლის 20 ივნისამდე შეიმუშაოს და სამოქმედოდ შემოიღოს დებულება საწარმოების მიერ უცხოური ვალუტის ამონაგები სახსრების ნაწილის სავალდებულო მიყიდვის შესახებ და დებულება რესპუბლიკის სახელმწიფო სავალუტო სახსრების აღრიცხვაზე რწმუნებული ბანკების პასუხისმგებლობის შესახებ.

10. იურიდიული პირების, საბანკო ან სხვა საფინანსო დაწესებულებების მიერ ამ დადგენილებით, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის აქტებით გათვალისწინებული წესების დარღვევის შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკსა და საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს შეუძლიათ დადგენილი წესით მათ მიმართ გამოიყენონ შემდეგი ზომები:

— ჩამოართვან მათ სავალუტო ოპერაციების წარმოების ნებართვა (ლიცენზია);

— გადაახდევინონ საწარმოებს შესაბამისი სავალუტო ფონდების დავალიანებანი, ან აღურიცხავი ამონაგების თანხა და ჯარიმა არსებული წესების მიხედვით.

11. საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ წარმოუდგინოს კანონპროექტი იმ თანამდებობის პირთა და მოქალაქეთა სისხლის სამართლებრივი და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც დაარღვევენ სავალუტო რეგულირების ნორმებს.

12. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში გაითვალისწინოს სახსრები საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სავალუტო ფონდისათვის ვალუტის შესასყიდად.

13. ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 4 მაისის №: 536 დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში სავალუტო ფონდების ფორმირების დროებითი წესის შესახებ".

14. სავალუტო ფონდის სახსრების ხარჯვის კონტროლის უზრუნველსაყოფად მინისტრთა კაბინეტთან შეიქმნას სავალუტო კონტროლის კომისია.

15. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს ორი კვირის ვადაში წარმოუდგინოს დებულების პროექტი სავალუტო კონტროლის კომისიის შესახებ.

16. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკთან ერთად ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით შესაბამისობაში მოიყვანოს სავალუტო ფონდში უცხოური ვალუტის სავალდებულო ჩარიცხვის წესები.

17. დადგენილება ძალაში შედის 1993 წლის 1 ივლისიდან.

**საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი**
**თ. სიგუა.**

ქ. თბილისი, 1993 წლის 10 ივნისი.

---

## საჯარო განხილვისთვის

# როგორ დავძლიოთ სახელმწიფო ხელისუფლების კრიზისი

## „რესპუბლიკელები" გვთავაზობენ...

შემუშავებულია რესპუბლიკური პარტიისა და ფრაქცია „რესპუბლიკელების" მიერ, წარდგენილი იყო 8 და 11 ივნისის საპარლამენტო სხდომებზე. იბეჭდება საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სპიკერის რეკომენდაციით.

**მიმდინარე წლის 22 აპრილს საქართველოს რესპუბლიკურმა პარტიამ და ფრაქცია „რესპუბლიკელებმა" პარლამენტის სხდომაზე გააკეთეს განცხადება ხელისუფლების რეორგანიზაციის აუცილებლობის შესახებ. ჩვენი წინადადების თანახმად, ძირეული რეორგანიზაცია უნდა შეხებოდა ცენტრალური ხელისუფლების როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელ შტოს, ხოლო თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების საბჭოს საქმიანობა უნდა შეჩერებულიყო, ვინაიდან ეს ორგანო, ფაქტობრივად, კანონგარეშე იდგა. ეს უკანასკნელი შესრულდა, მაგრამ, ჩვენი აზრით, ამით მხოლოდ მცირეოდენი ნაბიჯი გადაიდგა წინ სახელისუფლო სისტემის მოგვარება-მოწესრიგების საქმეში.**

**ჩვენ აღარ შევუდგებით რესპუბლიკაში შექმნილი უაღრესად მძიმე ვითარების აღწერას, ვინაიდან ყოველი მოქალაქე და მათ შორის პარლამენტის წევრებიც ამას მშვენივრად ხედავენ და საკუთარ თავზე განიცდიან. ფაქტია, რომ მდგომარეობა სასწრაფო შველას და გამოსწორებას მოითხოვს და ფაქტია ისიც, რომ უმაღლესი ხელისუფლების (ისევე, როგორც ადგილობრივისას) სტრუქტურა, შემადგენლობა, საქმიანობის სტილი და ორგანიზაციული მხარე ვერ უზრუნველყოფენ პოზიტიურ ცვლილებებსა და კრიზისიდან თავის დაღწევას. მდგომარეობა მოითხოვს პასუხსაგებ, თამამ გადაწყვეტილებას და არაორდინარულ ნაბიჯებს, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს მეთაურისა და პარლამენტის მხრივ. ცენტრალური ხელისუფლება საქართველოში უნდა გახდეს ერთიანი, მობილური, ქმედუნარიანი, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ადგილებზე ვითარების მოწესრიგებისაკენ.**

**რესპუბლიკურმა პარტიამ და ფრაქცია „რესპუბლიკელებმა" შეიმუშავეს გეგმა სახელმწიფოში ხელისუფლების კრიზისის დაძლევისა, რომელიც თქვენს სამსჯავროზე გამოგვაქვს. დაყოვნება ამ საკითხში შეიძლება საბედისწერო გამოდგეს და, ამიტომ, მიგვაჩნია, რომ შესაბამისი გადაწყვეტილებები მიღებულ უნდა იქნეს რაც შეიძლება სწრაფად, ხოლო გადაწყვეტილებებს უნდა მოჰყვეს აუცილებელი ქმედითი ღონისძიებები.**

## პარლამენტი

**შვიდი** თვის განმავლობაში პარლამენტმა ვერ შექმნა ის საკანონმდებლო ბაზა, რომელიც აუცილებელია ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძვლების ჩამოყალიბების, რადიკალური ეკონომიკური რეფორმების განხორციელებისათვის. სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ კანონის მე-7 მუხლი განსაზღვრავს პარლამენტის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხთა წრეს; მათ შორის რამდენიმე ძირითადი და ფუნდამენტურ სახელმწიფოებრივ საკითხებს შეეხება: 1. სოციალურ-ეკონომიკური და სხვა უმნიშვნელოვანესი რესპუბლიკური პროგრამების დამტკიცება; 2. საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტის დამტკიცება; მასში ცვლილებების შეტანა, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცება; 3. ერთიანი საფინანსო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განსაზღვრა; 4. საგადასახადო სისტემის საფუძვლების დადგენა; 5. სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების მოწყობისა და საქმიანობის წესის განსაზღვრა. მთელი პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართებით პარლამენტს ფაქტიურად არაფერი გაუკეთებია: არც სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა დაუმტკიცებია, არც ერთიანი საფინანსო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა განუსაზღვრავს, ჯერჯერობით არც საგადასახადო სისტემის საფუძვლებია დადგენილი და სახელმწიფო ფაქტიურად უბიუჯეტოდ ცხოვრობს; არც სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების სისტემა და კომპეტენციაა განსაზღვრული;

ობიექტური მიზეზების გარდა ყოველივე ზემოთქმული ძირითადად განპირობებულია სუბიექტური ფაქტორებით: ა. პარლამენტის ხელმძღვანელობამ თავი ვერ გაართვა პარლამენტის მუშაობის ორგანიზებას; ბ. პარლამენტის მუშაობის არაორგანიზებულობის გამო პარლამენტი კანონებს იღებს სპონტანურად და არა გეგმაზომიერად, კანონის მნიშვნელობისა და დროულობის ფაქტორების გათვალისწინებით; ამის შედეგად თითქმის არც ერთ დარგში არ შექმნილა არათუ სისტემა, არამედ სისტემის საფუძვლებიც კი; გ. პარლამენტარების დიდი ნაწილი უკანონოდ უთავსებს საპარლამენტო საქმიანობას სხვა სამუშაოს, რის გამოც პარლამენტის მუშაობის ნაყოფიერება ძლიერ დაბალია;

მდგომარეობიდან გამოსასვლელად აუცილებელია პარლამენტის რადიკალური სტრუქტურული რეორგანიზაცია. დღეს არსებული ერთი პალატის ბაზაზე უნდა ჩამოყალიბდეს ორი პალატა: ზედა — წარმომადგენელთა საბჭო და ქვედა — ეროვნული საბჭო (რესპუბლიკის საბჭო). საარჩევნო დებულება, რომლის საფუძველზეცაა არჩეული დღევანდელი პარლამენტი, პოტენციურად შეიცავდა ორპალატიან საპარლამენტო სტრუქტურას: 150 დეპუტატი აირჩა პროპორციული საარჩევნო სისტემით, ხოლო 84 დეპუტატი — მაჟორიტარული წესით. მაჟორიტარი დეპუტატები წარმოადგენენ შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს და საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესების გარდა არიან ადგილობრივი სპეციფიკური ინტერესების გამომხატველნი. პარლამენტის გაყოფა ორ პალატად მიზანშეწონილი და აუცილებელია როგორც სამართლებრივი, ისე სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით: 1. დეპუტატები არჩეულნი არიან განსხვავებული საარჩევნო სისტემით და ამ განსხვავებამ თავისი გამოხატულება შესაბამის სტრუქტურასა და განსხვავებულ კომპეტენციაში უნდა პოვოს; 2. დეპუტატთა ნაწილის რაიონულ საარჩევნო ოლქებში მაჟორიტარული წესით არჩევის მიზანი იყო პარლამენტში შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ინტერესების გათვალისწინება; დღეს შეიქმნა შემდეგი სიტუაცია:

მაჟორიტარი დეპუტატები ან საპარლამენტო საქმიანობით არიან დაკავებულნი და მოწყვეტილნი არიან რაიონს (ქალაქს) და იქაურ პრობლემებს; ან დაკავებულნი არიან რაიონული პრობლემებით და მოწყვეტილნი არიან პარლამენტს, ან კიდევ პრობლემების სიმრავლის გამო სათანადო დონეზე ვერ ახერხებენ ვერც პარლამენტში და ვერც რაიონში მუშაობას. პარლამენტის არსებული სტრუქტურა ვერ უზრუნველყოფს საარჩევნო დებულებით გათვალისწინებული მიზნის მიღწევას. პრობლემის ოპტიმალურად გადაჭრის გზაა პარლამენტის გაყოფა — ზედა და ქვედა პალატების ჩამოყალიბება. ზედა პალატა — წარმომადგენელთა საბჭო დაკომპლექტდება მაჟორიტარი დეპუტატებით, ხოლო ქვედა პალატა — ეროვნული (რესპუბლიკის) საბჭო — პროპორციული წესით არჩეული დეპუტატებით. ცხადია, იდენტური კომპეტენციის მქონე ორი პალატის არსებობას აზრი არა აქვს. ამდენად, ზედა და ქვედა პალატების უფლებამოსილება განსხვავებული უნდა იყოს და იგი უნდა ითვალისწინებდეს იმ სპეციფიკურ ინტერესებს, რაც მაჟორიტარ დეპუტატთა კორპუსს და, შესაბამისად, ცალკეულ რაიონებს აქვთ. აქედან გამომდინარე, ზედა პალატის კომპეტენციაში ძირითადად ის საკითხები უნდა შედიოდეს, რომლებიც რაიონების განსაკუთრებული ინტერესების სფეროს მიეკუთვნება. მაჟორიტართა პალატა უნდა გათავისუფლდეს ყოველდღიური საპარლამენტო მუშაობისაგან, რათა ამ პალატის წევრები ინტენსიურად იქნენ დაკავებულნი რაიონული პრობლემებით. რეგიონებთან ცენტრალური ხელისუფლების ურთიერთობა კი ერთ-ერთი უმწვავესი და უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხია, რომლის წარმატებით გადაჭრაში დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ მაჟორიტარ დეპუტატებს. ცხადია, ისინი ამას მხოლოდ იმ შემთხვევაში მოახერხებენ, თუკი აღიჭურვებიან შესაბამისი უფლებამოსილებით — მხედველობაში გვაქვს მაჟორიტარ დეპუტატთა დანიშვნა მათი ამრჩევი რაიონების (ქალაქების) ადმინისტრაციების მეთაურებად. ამგვარი დანიშვნა სამართლიანობის თვალსაზრისით გამართლებულია, რადგან შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მოსახლეობამ თავიანთ უპირველეს წარმომადგენლებად სწორედ ისინი აირჩია. გარდა ამისა, მაჟორიტართა ჩადგომა რაიონული (საქალაქო) ადმინისტრაციის სათავეში დიდი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი შედეგების მომტანი იქნება, რადგან მაჟორიტარები უზრუნველყოფენ ქვეყნისათვის აუცილებელ ინტენსიურ კონტაქტებს რეგიონებსა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის, რასაც გააადვილებს მუშაობის ნახევარწლიანი გამოცდილება და პირადი კონტაქტები სახელმწიფოს მეთაურთან, მთავრობასთან, ერთმანეთთან. ამგვარი ინტენსიური კონტაქტები აუცილებელია ქვეყნის პოლიტიკური ინტეგრაციისათვის, დეზინტეგრაციის პროცესების საპირისპიროდ, რაც არა მარტო რეგიონულ, არამედ რაიონულ დონეზეც აშკარად შეიმჩნევა; საერთო სახელმწიფოებრივ პრობლემებში კარგად ჩახედული პარლამენტარი — რაიონული ადმინისტრაციის მეთაური — რაიონულ პრობლემებს ამ კუთხითაც შეხედავს და უზრუნველყოფს რეგიონში საერთო-სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გატარებას, რაც ქვეყნის მთლიანობის აუცილებელი პირობაა. ამავე დროს პარლამენტის ზედა პალატის მეშვეობით მათ შესაძლებლობა ექნებათ ზეგავლენა მოახდინონ პარლამენტის მუშაობის ხასიათსა და მიმართულებაზე, კანონებში რეგიონული ინტერესების ასახვაზე. ცხადია, მაჟორიტარი დეპუტატების დანიშვნას რაიონული ადმინისტრაციების ხელმძღვანელებად არ ექნება სავალდებულო ხასიათი.

ქვემოთ გთავაზობთ ორპალატიანი პარლამენტის პალატების უფლებამოსილებებისა და მათი ურთიერთმიმართების ჩვენეულ მოდელს ძირითადი დებულებების სახით.

### საქართველოს პარლამენტის პალატები

(ძირითადი დებულებანი)

### § 1. ზოგადი დებულებანი

1. 1. საქართველოს პარლამენტი არის საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო;

1. 2. პარლამენტი შედგება ორი პალატის: ზედა პალატის — წარმომადგენელთა საბჭოსა და ქვედა პალატის — ეროვნული (რესპუბლიკის) საბჭოსაგან;

1. 3. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არის ორივე პალატის თავმჯდომარე.

### § 2. წარმომადგენელთა საბჭო

2. 1. წარმომადგენელთა საბჭო შედგება საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მოსახლეობის მიერ საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და მაჟორიტარული წესით არჩეული 84 დეპუტატისაგან;

2. 2. წარმომადგენელთა საბჭოს წევრების რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს 100-მდე ეროვნული საბჭოს წევრების ხარჯზე.

შენიშვნა: 1. ეროვნული საბჭოს წევრის გადასვლას წარმომადგენელთა საბჭოში არ მოჰყვება ადგილმონაცვლეობის წესის ამოქმედება;

2. ეროვნული საბჭოს წევრს, რომელიც გადავიდა წარმომადგენელთა საბჭოში, უფლება არა აქვს დაუბრუნდეს ეროვნულ საბჭოს.

3. წარმომადგენელთა საბჭოში გადასული დეპუტატის გამოკლების ან უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში მისი ადგილმონაცვლე ხდება ეროვნული საბჭოს წევრი.

3. წარმომადგენელთა საბჭოს წევრობა შეთავსებადია სხვა საქმიანობასთან, თუ იგი დაკავშირებული არ არის ცენტრალური აღმასრულებელი ხელისუფლების, სასამართლოს, პროკურატურის, პოლიციის, კონტროლის პალატის, სამხედრო ან გასამხედროებულ ორგანოებში სამსახურთან;

4. წარმომადგენელთა საბჭოს მეშვეობით ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები მონაწილეობენ საკანონმდებლო საქმიანობასა და სახელმწიფო მართვაში.

5. 1. წარმომადგენელთა საბჭო ირჩევს სპიკერსა და მის ორ მოადგილეს, სამდივნოს;

5. 2. წარმომადგენელთა საბჭო ქმნის მუდმივ კომისიებს თავისი კომპეტენციის შესაბამისად.

6. 1. წარმომადგენელთა საბჭო საგაზაფხულო და საშემოდგომო სესიის განმავლობაში პლენარულ სხდომას თავისი უფლებით მართავს ყოველი თვის პირველ სამუშაო ორშაბათს.

6. 2. წარმომადგენელთა საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლება აქვს:

ა) პარლამენტის თავმჯდომარეს;
ბ) პალატის სპიკერს;
გ) პალატის წევრთა ფაქტობრივი რაოდენობის არანაკლებ 1/5-ს.

7. 1. კვორუმს შეადგენს პალატის წევრთა ფაქტობრივი რაოდენობის ნახევარზე მეტი;

7. 2. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე დეპუტატთა ხმების უბრალო უმრავლესობით;

7. 3. პალატის მუშაობის დეტალურ წესს ადგენს პალატის რეგლამენტი;

8. წარმომადგენელთა საბჭოს კომპეტენციას მიეკუთვნება განხილვა იმ საკითხებისა, რომლებიც ეხება:

ა) საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობას;
ბ) სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების სისტემასა და უფლებამოსილებას;
გ) საგადასახადო სისტემის საფუძვლების დადგენას;
დ) საადგილმამულო ურთიერთობებს;
ე) დასახლებული პუნქტებისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისათვის სახელების დარქმევასა თუ გადარქმევას;

9. 1. კანონპროექტები, რომლებიც ეხება მე-8 მუხლით წარმომადგენელთა საბჭოს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს, ეროვნული საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ სამი დღის ვადაში ეგზავნება წარმომადგენელთა საბჭოს, რომელიც პროექტს იხილავს 10 დღის განმავლობაში და იღებს გადაწყვეტილებას კანონპროექტის მოწონების ან უარყოფის შესახებ.

9. 2. წარმომადგენელთა საბჭოს მიერ კანონპროექტის უარყოფის შემთხვევაში ორივე პალატა პარიტეტულ საწყისებზე ქმნის საერთო შემათანხმებელ კომისიას. თუ კომისიამ ტექსტში ცვლილებები არ შეიტანა, კანონპროექტი დამტკიცებულად ითვლება. კომისიის მიერ ტექსტში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში კანონპროექტი კვლავ ეგზავნება ეროვნულ საბჭოს, რომელმაც გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. ეროვნულ საბჭოს უფლება აქვს დაუბრუნდეს კანონპროექტის თავდაპირველ ტექსტს ან განიხილოს კომისიის მიერ ცვლილებებშეტანილი ტექსტი. ეროვნული საბჭო გადაწყვეტილებას იღებს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით. მისი გადაწყვეტილება საბოლოოა.

10. წარმომადგენელთა საბჭოს უფლებამოსილება წყდება ეროვნული საბჭოს უფლებამოსილების შეწყვეტისთანავე.

### § 3. ეროვნული (რესპუბლიკის) საბჭო

11. 1. ეროვნული საბჭო შედგება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და პროპორციული წესით არჩეული დეპუტატებისაგან.

11. 2. ეროვნული საბჭოს წევრთა რაოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს 150-ს.

12. ეროვნული საბჭოს უფლებამოსილება და საქმიანობის წესი იგივეა, რაც დადგენილია პარლამენტისათვის „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ" კანონით.

### § 4. პალატების ერთობლივ კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხები

13. 1. პალატების ერთობლივ სხდომაზე განიხილება:

ა) ომისა და ზავის საკითხები;
ბ) სახელმწიფო საზღვრების საკითხები;
გ) სახელმწიფო ბიუჯეტი;
დ) საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაცია და დენონსაცია;
ე) ქვეყნის საშინაო მდგომარეობასთან დაკავშირებული საკითხები;
ვ) სახელმწიფოს მეთაურის არჩევა და გადაყენება;

13. 2. პალატების ერთობლივ სხდომას უძღვება პარლამენტის თავმჯდომარე ან მისი დავალებით პალატების სპიკერები მონაცვლეობით;

13. 3. პალატებს უფლება აქვთ შექმნან ერთობლივი დროებითი კომისიები.

პარლამენტის წევრებს დაურიგდათ აგრეთვე განსახილველ და მისაღებ კანონთა ნუსხა, რომელიც, ჩვენი აზრით, საპარლამენტო სამოქმედო გეგმის საფუძვლად შეგვიძლია მივიღოთ.

## მინისტრთა კაბინეტი

მინისტრთა კაბინეტის თითქმის შვიდთვიანმა საქმიანობამ, ჩვენი და არა მხოლოდ ჩვენი აზრით, ნათლად დაადასტურა, რომ იგი თავს ვერ ართმევს დაკისრებულ მოვალეობებს. ასეთი მდგომარეობის ძირითად გამომწვევ მიზეზებს ვხედავთ შემდეგში:

1. მინისტრთა კაბინეტს არ გააჩნდა მოქმედების ერთიანი პროგრამა, რომელიც მისი თითოეული წევრის მიერ სრულად იქნებოდა გააზრებული და გათავისებული. ამის საუკეთესო დასტურია კაბინეტის წევრების საჯარო გამოსვლები და შესაბამისი ქმედებები, რომლებიც ხშირად ურთიერთგამომრიცხავ ხასიათს ატარებენ.

2. მინისტრთა კაბინეტი დაკომპლექტებული იყო სხვადასხვა პოლიტიკურ და არაპოლიტიკურ ძალთა შორის თანაფარდობის მოძებნის მცდელობის პრინციპზე, ანუ — ყოველგვარი პრინციპის გარეშე. მასში წარმოდგენილი ადამიანები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან პოლიტიკური შეხედულებებით, ეკონომიკური პლატფორმით, ხელმძღვანელობის მეთოდებითა და სტილით, პოზიტიური თუ ნეგატიური გამოცდილებით და სხვა მნიშვნელოვანი პარამეტრებით, რაც შეუძლებელს ხდის მათ შეწყობილ საქმიანობას.

3. მინისტრთა კაბინეტისა და მისი სტრუქტურების რაოდენობრივი შემადგენლობა გაუმართლებლად არის გაბერილი, არსებითად უცვლელად არის გადმოტანილი იმ პერიოდიდან, როცა საქართველო არ იყო დამოუკიდებელი, არ ატარებდა არამც თუ საკუთარ საგარეო პოლიტიკას, არამედ საშინაო და ეკონომიკურ პოლიტიკაშიც უაღრესად შეზღუდული იყო და წარმოადგენდა გიგანტურ სახელმწიფოში მთლიანად ინტეგრირებულ მცირე ერთეულს. ამდენად, იმდროინდელი სტრუქტურებისა და ხელმძღვანელობის მეთოდების ახალ რეალიებში გადმოტანის მცდელობა თავიდანვე იყო განწირული, ვინაიდან სრულიად ვერ პასუხობდა დღევანდელ მოთხოვნებს.

4. მინისტრთა კაბინეტს არ ჰქონია და არც შეიძლება ჰქონოდა გაცნობიერებული კოლექტიური პასუხისმგებლობა ქვეყნის საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის უკლებლივ ყველა ასპექტზე. კაბინეტში შემავალი 29 სამინისტროსა და კომიტეტის ხელმძღვანელი გარკვეულწილად იღებდა პასუხისმგებლობას მხოლოდ თავის ვიწრო დარგზე, საერთო საქმის მხოლოდ მცირეოდენ მონაკვეთზე და არა მთლიანად პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე ქვეყანაში, რაც დაუწერელი თუ დაწერილი ნორმაა დამოუკიდებელ სახელმწიფოებში. გაუგებარია ვითარება, როცა კაბინეტის წევრი ვერ გრძნობს პასუხისმგებლობას ქვეყანაში მიმდინარე რეფორმაზე, რომელმაც უნდა მოიცვას უკლებლივ ყველა სფერო და მიმდინარეობდეს ერთდროულად ყველა ძირითადი მიმართულებით.

5. უწყებების მრავალრიცხოვნობის გამო ხშირია პარალელიზმი და ზედდება მათ ფუნქციებში, რაც ნიადაგს ქმნის წარუმატებლობების ერთმანეთზე გადაბრალებისათვის, პიროვნული პასუხისმგებლობის გრძნობის დაქვეითებისათვის. ამა თუ იმ პრობლემის მოგვარებისას ხშირად იქმნება მოჯადოებული წრე, როცა ხარვეზი მუშაობაში სახეზეა, ხოლო დამნაშავე ან პასუხისმგებელი — არავინაა. ასეთი მდგომარეობა, ჩვენთვის ესოდენ ნაცნობი კომუნისტური მმართველობის წლებიდან, სასწრაფოდ უნდა აღმოიფხვრას.

ამდენად, დღეს არსებულ მთავრობას მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოს კაბინეტი, ვინაიდან არც ერთი ძირითადი კრიტერიუმით იგი ვერ პასუხობს თვით მინისტრთა კაბინეტის ცნებას.

აქ ჩვენ განგებ არ ვეხებით ცალკეული მინისტრებისა თუ კომიტეტების თავმჯდომარეების პიროვნულ და საქმიან, დადებით თუ უარყოფით თვისებებს, რადგანაც მიგვაჩნია, რომ კაბინეტის დღეს არსებულ 35-ვე თანამდებობაზე 35 საუკეთესო კანდიდატი რომც ყოფილიყო შერჩეული (თუმცა, სინამდვილეში, ასე არ მოხდა), მხოლოდ ამით საქმე ვერ გაკეთდებოდა. თვით სტრუქტურა, ფუნქციათა დანაწილება და ხელმძღვანელობისადმი მიდგომა არის დრომოჭმული, ახალი რეალიებისადმი მიუსადაგარი და შესაბამისი შედეგიც აშკარაა.

მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით მდგომარეობიდან ერთადერთ გამოსავლად მიგვაჩნია მთავრობის გადადგომა სრული შემადგენლობით. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქვეყანა ერთი წუთით მაინც უმთავრობოდ დავტოვოთ, ან უბრალოდ დავითხოვოთ ის 35 კაცი, რომელიც დღეს შეადგენს მთავრობას და მათ ადგილზე ახლები მოვიყვანოთ. არც იმას გამოვრიცხავთ, რომ მომავალ კაბინეტში დღევანდელი მთავრობის წარმომადგენლებიც შეიძლება მოხვდნენ. მაგრამ 1992 წლის ნოემბერშიც, მინისტრთა კაბინეტის ფორმირებისას, ამა წლის 22 აპრილის განცხადებაშიც და დღესაც ვამბობდით და ვამბობთ, რომ აუცილებელია მთავრობის სწორედაც რომ კაბინეტური პრინციპით ჩამოყალიბება, სამინისტროების რიცხვის, მათი აპარატის და შესაბამისი ხარჯების მკვეთრი შემცირება, ფუნქციების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის ახლებური გააზრება, მუშაობის აწყობა დღევანდელი დღის მოთხოვნების შესაბამისად.

სამწუხაროა, რომ 22 აპრილის შემდეგ უკვე 50 დღე დაიკარგა უქმად, რეალური ნაბიჯები მდგომარეობის გამოსასწორებლად კი თითქმის არ გადადგმულა. დღეს ბევრს, მათ შორის ჩვენც, მთავრობის გადადგომა გვესახება არა მხოლოდ რეორგანიზაციის აუცილებელ მექანიზმად, არამედ იძულებით ღონისძიებად, ვინაიდან საქმე დღითი დღე სულ უფრო და უფრო უარესად მიდის და სასწრაფო შველას მოითხოვს. მაგრამ თუ მთავრობის მომწიფებული გადადგომა ამჯერადაც არ იქნება გამოყენებული ძირეული სტრუქტურული რეორგანიზაციისათვის, კითხვის ქვეშ რეალურად და საფუძვლიანად დადგება არა მხოლოდ მომავალი კაბინეტის, არამედ მთლიანად არსებული ხელისუფლების ბედი. ამიტომაც მიგვაჩნია გადაუდებელ ამოცანად სასწრაფო გააზრება და დადგენა აღმასრულებელი ხელისუფლების ისეთი სტრუქტურისა, რომელიც სათანადო კადრებით შევსების შემთხვევაში აგვაცილებს საბოლოო კატასტროფას. წარმოგიდგენთ ამ სტრუქტურების ჩვენეულ პროექტს და გვინდა გაგაცნოთ ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც, ჩვენის აზრით, საფუძვლად უნდა დაედოს მომავალი კაბინეტის ჩამოყალიბებას:

1. საერთო-შეთანხმებული და გაზიარებული — პროგრამა საშინაო, საგარეო, ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის სფეროებში კონკრეტული ეტაპების, ღონისძიებებისა და ვადების მითითებით.

2. თანამოაზრეობა და მიზანსწრაფულობა ამ პროგრამის განხორციელებაში. კაბინეტი შეიძლება იყოს ერთპარტიული, კოალიციური, ან საერთოდ არაპარტიული, მაგრამ იგი უნდა იყოს თანამოაზრეთა შეწყობილი გუნდი, რომელსაც აქვს საერთო მიზანი და იცის ამ მიზნის მიღწევის გზები.

3. კაბინეტის ერთობლივი პასუხისმგებლობა მის მიერ გატარებულ პოლიტიკაზე ყველა დარგში. ჩავარდნა სოფლის მეურნეობაში (მაგალითისათვის) ნიშნავს იმას, რომ კაბინეტი მთლიანად ვერ ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობებს და იგი უნდა გადადგეს ან მნიშვნელოვანწილად განახლდეს.

4. რეფორმებს ატარებს მთლიანად კაბინეტი და არა შტაბი, პრეზიდიუმი, ან მისი სხვა რომელიმე წარმონაქმნი. ამისათვის იგი არ უნდა იყოს ჰიპერტროფირებული, უნდა გააჩნდეს მობილურობა და გადაწყვეტილებების ოპერატიულად მიღებისა და ხორცშესხმის უნარი.

5. კაბინეტს პირდაპირ და უშუალოდ უნდა ხელმძღვანელობდეს სახელმწიფოს მეთაური, რისთვისაც მან პირადად უნდა შეარჩიოს მინისტრების კანდიდატურები და დასამტკიცებლად სიობრივად წარუდგინოს პარლამენტს.

კაბინეტის ფორმირებისადმი ამგვარი მიდგომის შემთხვევაში ქვეყანაში შექმნილი უკიდურესად მწვავე კრიზისული ვითარების ფონზე, ჩვენ შესაძლებლად მივიჩნევთ მინისტრთა კაბინეტისადმი ეკონომიკის სფეროში განსაკუთრებული უფლებამოსილებების მინიჭებას. ეკონომიკურ რეფორმებს სჭირდება შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც დღეს ფაქტობრივად არ გვაქვს. ცხადია, ამ მიმართულებით საქმიანობა პარლამენტის უშუალო ამოცანაა, მაგრამ რთული საპარლამენტო პროცედურა, თვით პარლამენტის მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები, აყოვნებენ კანონებისა და გადაწყვეტილებების მიღებას. ამდენად, ეკონომიკური რეფორმების პერიოდის სამართლებრივი ბაზის შექმნას უფრო ოპერატიულად შეძლებს კომპაქტური მინისტრთა კაბინეტი დეკრეტების მეშვეობით პარლამენტის მიერ დელეგირებული შესაბამისი უფლებამოსილებების საფუძველზე.

ჩვენი შეხედულებები მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურაზე, მის ფუნქციებსა და მოვალეობებზე, ძირითადი დებულებების სახით ჩამოყალიბებულია დოკუმენტში, რომელიც წინასწარ დაურიგდათ პარლამენტის წევრებს. მისი შემუშავებისას ჩვენ შეძლებისდაგვარად გავითვალისწინეთ როგორც ჩვენი ქვეყნის ცხოვრების უკანასკნელი წლების გამოცდილება, ისე მოწინავე დემოკრატიული და განსაკუთრებით, პოსტკომუნისტურ ეტაპზე მყოფი ქვეყნების გამოცდილება, თუკი პარლამენტი მიზანშეწონილად მიიჩნევს მის საფუძვლად აღებას აღმასრულებელი ხელისუფლების რეორგანიზაციისათვის, ჩვენ მზად ვართ, ყველა დაინტერესებულ მხარესთან ერთად, გავაგრძელოთ მუშაობა ამ მიმართულებით.

გთავაზობთ მომავალი რეორგანიზაციისათვის სამართლებრივი ბაზის შესაქმნელად მინისტრთა კაბინეტის შესახებ კანონპროექტის ძირითად დებულებებს.

### § 1. მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობა

1. 1. საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოა მინისტრთა კაბინეტი;

1. 2. მინისტრთა კაბინეტი ახორციელებს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, ხელმძღვანელობს სამოქალაქო და სამხედრო ადმინისტრაციას, უზრუნველყოფს ქვეყნის უშიშროებასა და თავდაცვას;

2. 1. მინისტრთა კაბინეტი შედგება სახელმწიფოს მეთაურისა და მინისტრებისგან;

2. 2. კაბინეტის საქმიანობას ხელმძღვანელობს სახელმწიფოს მეთაური, რომელიც კოორდინაციას უწევს კაბინეტის სხვა წევრების საქმიანობას და პასუხისმგებელია როგორც კაბინეტის საერთო პოლიტიკაზე, ისე მინისტრების საქმიანობაზე.

(დასასრული მე-3 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საჯარო განსჯისთვის

# როგორ დავძლიოთ სახელმწიფო ხელისუფლების კრიზისი

## „რესპუბლიკელები“ გვთავაზობენ...

(დასასრული).

3.1. სახელმწიფოს მეთაური მინისტრებისაგან ინფორმირებული უნდა იყოს სამინისტროების იმ ღონისძიებებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ საერთო პოლიტიკაზე.

3.2. სახელმწიფოს მეთაური ვალდებულია უზრუნველყოს სახელმწიფო პოლიტიკის ერთიანობა, სახელმწიფო ორგანოთა შეთანხმებული და ნორმალური ფუნქციონირება.

4.1. მინისტრები კოლეგიურად პასუხისმგებელნი არიან კაბინეტის საქმიანობაზე და ინდივიდუალურად თავიანთი უწყებების მოქმედებაზე;

4.2. მინისტრებს ეკრძალებათ ოფიციალურ გამოსვლებსა და ინტერვიუებში კაბინეტის საერთო პოლიტიკის საწინააღმდეგო მოსაზრებების გამოთქმა; იმ შემთხვევაში, თუ მინისტრი არ ეთანხმება კაბინეტის პოლიტიკას, იგი ვალდებულია გადადგეს.

4.3. კაბინეტის წევრის ფუნქციები შეუთავსებელია სხვა ნებისმიერ ანაზღაურებად საქმიანობასთან;

5. ცალკეული მინისტრების საქმიანობის დუბლირებისა და მათ შორის უთანხმოების წარმოშობის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს მინისტრთა კაბინეტი.

### §2. მინისტრთა კაბინეტის უფლებამოსილება

6. მინისტრთა კაბინეტის უფლებამოსილებაა:
ა) საშინაო პოლიტიკის განხორციელება;
ბ) სამოქალაქო და სამხედრო ადმინისტრაციის მართვა;
გ) ქვეყნის უშიშროებისა და თავდაცვის უზრუნველყოფა;
დ) კანონების აღსრულება და კონტროლი აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე თავისი კომპეტენციის ფარგლებში;
ე) ნორმაშემოქმედება;
ვ) ბიუჯეტის შედგენა, პარლამენტისათვის წარდგენა და მისი შესრულება;
ზ) საგარეო პოლიტიკის განხორციელება.

7. მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე განსახილველად გაიტანება და გადაწყვეტილება მიიღება ყველა საშინაო და საგარეო პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ფინანსური და კულტურის საკითხის გამო; კერძოდ;
ა) ყველა კანონპროექტი;
ბ) კაბინეტის ყველა ნორმატიული აქტი;
გ) სხვა ნორმატიული აქტები, თუ მათ საერთოპოლიტიკური მნიშვნელობა აქვთ;
დ) უთანხმოებანი ცალკეულ სამინისტროებს შორის;
ე) სხვა საკითხები სახელმწიფოს მეთაურის ან კაბინეტის წევრების შეხედულებისამებრ.

### §3. მინისტრთა კაბინეტის საკანონმდებლო უფლებამოსილება

8.1. დასაშვებია საკანონმდებლო ფუნქციის განხორციელება მიენდოს მინისტრთა კაბინეტს იმ პირობით, თუ დაცული იქნება ეროვნული საბჭოს მიერ დადგენილი პრინციპები და კრიტერიუმები;

8.2. მინისტრთა კაბინეტს ეკრძალება საერთო კანონის ძალის მქონე დოკუმენტების მიღება, რომელიც ეხება ძირითად სახელმწიფოებრივ ინსტიტუტებს, მოქალაქეთა უფლება-მოვალეობებსა და თავისუფლებებს, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების სამართლებრივ რეჟიმს;

8.3. ეროვნული საბჭოს მიერ მინისტრთა კაბინეტისათვის საკანონმდებლო უფლებამოსილების გადაცემა დროებითია და მხოლოდ განსაზღვრულ საკითხებს ეხება;

9.1. ეროვნული საბჭოს თანხმობის გარეშე მინისტრთა კაბინეტს არა აქვს უფლება გამოსცეს საერთო კანონის ძალის მქონე დეკრეტი;

9.2. განსაკუთრებული საჭიროების ან გადაუდებლობის შემთხვევაში საერთო კანონის ძალის მქონე დეკრეტის ან განკარგულების მიღებისას მინისტრთა კაბინეტი ვალდებულია ნორმატიული აქტი დაუყოვნებლივ წარუდგინოს ეროვნულ საბჭოს დასამტკიცებლად; საპარლამენტო არდადეგების შემთხვევაში მოიწვევა ეროვნული საბჭოს საგანგებო სხდომა 7 დღის განმავლობაში.

9.3. დეკრეტები და განკარგულებები კარგავენ იურიდიულ ძალას, თუ გამოქვეყნებიდან 60 დღის განმავლობაში არ მოხდა მათი დამტკიცება კანონით დამტკიცებული წესით. ამასთან, პარლამენტს აქვს უფლება კანონით მოაწესრიგოს იურიდიული ურთიერთობანი, რომლებიც წარმოიშვნენ იმ დოკუმენტების საფუძველზე, რომლებმაც არ შეიძინეს კანონის ძალა;

10.1. მინისტრთა კაბინეტის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტები სარგებლობენ უპირატესი განხილვის უფლებით;

10.2. ეროვნული საბჭო ვალდებულია მის მიერ მომზადებული ყველა კანონპროექტი განსახილველად გადაუგზავნოს მინისტრთა კაბინეტს;

11.1. სახელმწიფოს მეთაურის ნორმატიულ აქტს ხელს აწერს ის მინისტრი, რომელსაც ევალება მისი აღსრულება;

11.2. მინისტრთა კაბინეტის ნორმატიულ აქტს ხელს აწერს სახელმწიფოს მეთაური და ის მინისტრი, რომელსაც ევალება მისი აღსრულება.

### §4. მინისტრთა კაბინეტის ფორმირება და მისი ურთიერთობა პარლამენტთან

12.1. მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობას აყალიბებს სახელმწიფოს მეთაური;

12.2. სახელმწიფოს მეთაური კაბინეტის შემადგენლობას დასამტკიცებლად წარუდგენს ეროვნულ საბჭოს;

12.3. კაბინეტის შემადგენლობას კენჭი ეყრება მთლიანობაში;

12.4. ეროვნული საბჭოს მიერ კაბინეტისათვის უნდობლობის გამოცხადების შემთხვევაში სახელმწიფოს მეთაური აყალიბებს ახალ კაბინეტს;

13.1. კაბინეტის შემადგენლობის დამტკიცებას წინ უსწრებს მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურის დამტკიცება ეროვნული საბჭოს მიერ;

13.2. მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურას შეიმუშავებს და ეროვნულ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს სახელმწიფოს მეთაური;

14.1. ნდობის ვოტუმის მისაღებად კენჭისყრა ხდება კაბინეტის პროგრამის დამტკიცების შემდეგ; პროგრამას წარადგენს სახელმწიფოს მეთაური;

14.2. პროგრამის უარყოფის შემთხვევაში სახელმწიფოს მეთაური წარადგენს ახალ პროგრამას;

15.1. სახელმწიფოს მეთაურს უფლება აქვს დაითხოვოს როგორც მთლიანად კაბინეტი, ისე მისი ცალკეული წევრი ეროვნულ საბჭოსთან შეთანხმების გარეშე.

15.2. კაბინეტის ახალი წევრი საჭიროებს დამტკიცებას ეროვნული საბჭოს მიერ;

15.3. ეროვნულ საბჭოს არა აქვს უფლება დასვას საკითხი მთელი კაბინეტის ან მისი ცალკეული წევრისადმი უნდობლობის გამოცხადების შესახებ;

15.4. სახელმწიფოს მეთაურის მიერ მინისტრთა კაბინეტის წევრთა შორის ფუნქციების გადანაწილება არ საჭიროებს ეროვნული საბჭოს დასტურს.

16. სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილების შეწყვეტა გამოიწვევს მინისტრთა კაბინეტის გადადგომას.

**წარმოგიდგენთ მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურის ჩვენეულ ვარიანტს მათი ძირითადი ფუნქციების განსაზღვრით. ფრჩხილებში მითითებულია დღეს არსებული ის უწყებები, რომელთა ბაზაზეც შეიქმნება ახალი სამინისტრო.**

### სამინისტროები

I. გარემოს დაცვის სამინისტრო (გარემოს დაცვის სამინისტრო, მიწის კადასტრის კომიტეტი, სატყეო მეურნეობის კომიტეტი): —
— შეიმუშავებს ეკოლოგიურ პოლიტიკას, ამზადებს შესაბამის პროგრამებს და კანონპროექტებს;
— ზედამხედველობს გარემოს დაცვას;
— ფლობს ტყის მასივებს, ნაკრძალებს, ტყის მეურნეობებს, ეროვნულ პარკებს, აღკვეთილებს... უზრუნველყოფს მათ სწორ ექსპლუატაციას;
— ადგენს მიწისა და წყლის კადასტრს.

II. ეკონომიკის სამინისტრო (ეკონომიკის სამინისტრო, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო, ტურიზმის კომიტეტი).
— ახორციელებს ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზს და პროგნოზირებას;
— შეიმუშავებს სახელმწიფოს ეკონომიკურ სტრატეგიას;
— შეიმუშავებს და მინისტრთა კაბინეტს წარუდგენს რეკომენდაციებს პერსპექტიული დარგების განვითარების კონკრეტული ღონისძიებების შესახებ;
— ვაჭრობის სამინისტროსთან ერთად შეისწავლის უცხოეთის ბაზარს;
— შესაბამის უწყებებთან ერთად ეძებს შესაძლებლობებს ახალი ტექნოლოგიების დასანერგად;
— ახორციელებს სახელმწიფო ქონების პრივატიზებას პრივატიზების დეპარტამენტის მეშვეობით; — მართავს სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილ ქონებას სააქციონერო საზოგადოებაში სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტის წარმომადგენლის მეშვეობით.
— უშუალოდ პასუხს აგებს რეფორმაზე.

III. ენერგეტიკისა და მრეწველობის სამინისტრო (სათბობისა და ენერგეტიკის სამინისტრო, მრეწველობის სამინისტრო, მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტის ნაწილი):
— ევალება ენერგეტიკის ეკონომიკური რეგულირება;
— შეიმუშავებს ამ დარგის მეცნიერულ-ტექნიკურ პოლიტიკას;
— განსაზღვრავს ამ დარგის კონკრეტული მიმართულებების პრიორიტეტულ სისტემას).
— შეიმუშავებს მრეწველობის განვითარების პროგრამას;
— რეკომენდაციას უწევს ახალ ტექნოლოგიებს და ზრუნავს მის დანერგვაზე.
— ვაჭრობისა და ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად ეძებს უცხოეთში ბაზარს სამამულო ტექნოლოგიის რეალიზაციისათვის;
— აქვეყნებს სამრეწველო სტატისტიკას, გამოსცემს ყოველწლიურ ანგარიშებს კომპანიებზე, მათ რაოდენობაზე, შემოსავალზე, ფინანსირების წყაროებზე, გაკოტრებაზე, ინვესტიციებზე, მრეწველობის ცალკეული დარგების მდგომარეობაზე.

IV. ვაჭრობის სამინისტრო (ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების სამინისტრო, საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტი):
— არის სახელმწიფოს სავაჭრო წარმომადგენელი, როგორც სახელმწიფოს შიგნით, ასევე მის გარეთ;
— პასუხისმგებელია აუცილებელი სასურსათო პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფაზე;
— ეძებს სამამულო წარმოების საქონლის გასაღების უცხოურ ბაზარს;
— ხელს უწყობს სახელმწიფოს ეკონომიკური პოზიციის გამაგრებას მის ფარგლებს გარეთ;
— აგროვებს საჭირო ინფორმაციას, აანალიზებს მას და მინისტრთა კაბინეტს წარუდგენს სახელმწიფოში ვაჭრობის განვითარების კონკრეტულ გეგმებს;
— კონსულტაციას უწევს დაინტერესებულ ფირმებს.

V. თავდაცვის სამინისტრო

— ახორციელებს ღონისძიებებს სახელმწიფო უშიშროებისა და ქვეყნის თავდაცვის უზრუნველსაყოფად;
— შეიმუშავებს შეიარაღებული ძალების სამხედრო დოქტრინას;
— იცავს და აკონტროლებს სახელმწიფო საზღვრებს.

VI. იუსტიციის სამინისტრო (იუსტიციის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტროდან და პროკურატურიდან გამოყოფილი გამოძიების სამსახურების ბაზაზე შექმნილი საგამოძიებო დეპარტამენტი; პენიტენციალური დაწესებულებების სისტემა; სასამართლო რეფორმის შემდეგ — პროკურატურა, რომელიც სასამართლო პროცესში არის მხარე და წარმოადგენს სახელმწიფოს):
— მთავრობის კონსულტირება იურიდიულ საკითხებში;
— სამართლის ცალკეული დარგების კოდექსებისა და ცალკეული მუხლების დახვეწა და მომზადება;
— სახელმწიფოს წარმომადგენლობა სასამართლოში (პროკურატურის მეშვეობით);
— იმიგრაციისა და ნატურალიზაციის სამსახური;
— საგამოძიებო სამსახურის უზრუნველყოფა შესაბამისი კანონმდებლობით;
— პენიტენციალური დაწესებულებების სისტემის მართვა.

VII. კომუნიკაციისა და ტრანსპორტის სამინისტრო (კავშირგაბმულობის სამინისტრო, ტრანსპორტის სამინისტრო):
— უზრუნველყოფს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სისტემის ფუნქციონირებას;
— ამუშავებს სახელმწიფო პროგრამებს: სარკინიგზო, საავტომობილო გზების მშენებლობის, სამოქალაქო ავიაციის, პორტების გეგმარების, რეკონსტრუქციისა და განვითარებისათვის;
— ხელს უწყობს ახალი ტექნოლოგიის დანერგვას;
— შეიმუშავებს პროგრამებს ერთიანი საინფორმაციო სისტემის შემოღების და მისი დანერგვისათვის.

VIII. კულტურისა და განათლების სამინისტრო (კულტურის სამინისტრო, განათლების სამინისტრო, სპორტის კომიტეტი, მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტის ნაწილი):
— შეიმუშავებს და უზრუნველყოფს სახელმწიფო პროგრამების განხორციელებას განათლების, მეცნიერების, ხელოვნების, ბავშვთა და სამოყვარულო სპორტის დარგებში;
— მონაწილეობს შესაბამის საერთაშორისო პროგრამებში;
— ბიუჯეტის შესაბამისად აფინანსებს სახელმწიფო საშუალო სავალდებულო და უმაღლეს განათლებას, სახელმწიფო სამეცნიერო დაწესებულებებს;
— ხელს უწყობს განათლებაში, ხელოვნებაში, მეცნიერებაში და სპორტში საქველმოქმედო თანხების მოზიდვას, სათანადო ფონდების ფორმირებას; საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებლობის ფარგლებში, დახმარებას უწევს მოსწავლე ახალგაზრდობას, ხელოვნების მუშაკებს, მეცნიერებს, სპორტსმენებს კვალიფიკაციის ამაღლებაში, კონკურსებში, კონფერენციებში, შეჯიბრებებში მონაწილეობაში;
— აკონტროლებს განათლების კერძო სექტორის დიპლომებისა და ატესტატების შესაბამისობას სახელმწიფოს მიერ დადგენილ სტანდარტებთან;
— ზრუნავს საქართველოში გაცემული დიპლომების საერთაშორისო ნორმებისა და მოთხოვნილებებისადმი შესაბამისობაში მოსაყვანად.

IX. მშენებლობისა და ტერიტორიული განვითარების სამინისტრო (მშენებლობისა და არქიტექტურის სამინისტრო);
— შეიმუშავებს ტერიტორიული განვითარების პროგრამებს;
— ადგენს მშენებლობის საკითხებთან დაკავშირებულ სტანდარტებს და ატარებს ინსპექციას;

X. საგარეო საქმეთა სამინისტრო
— შეიმუშავებს და ახორციელებს ქვეყნის საგარეო პოლიტიკას;
— მონაწილეობს სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ მთავრობის მიერ განხორციელებულ მოლაპარაკებებსა და ღონისძიებებში.

XI. სოფლის მეურნეობის სამინისტრო (სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრო):
— აანალიზებს დარგში არსებულ მდგომარეობას, პროგნოზირების საფუძველზე ადგენს დარგის განვითარების გეგმას;
— ახორციელებს სხვადასხვა სახის ფერმერული მეურნეობების სახელმწიფო დაკრედიტების დაზღვევასა და კონსულტირებას;
— მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასამტკიცებლად უზრუნველყოფს მათ შეღავათიანი კრედიტებით;
— არეგულირებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ბაზარს პროდუქციის შესყიდვის, შენახვის და რეალიზაციის მეშვეობით;
— წინასწარი შესყიდვის მეშვეობით უზრუნველყოფს კვების პროდუქტების გარანტირებულ წარმოებას;
— ჯანმრთელობის სამინისტროს და გარემოს დაცვის სამინისტროსთან ერთად ახორციელებს კონტროლს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხზე.

XII. სოციალური დაცვისა და შრომის სამინისტრო (სოციალური უზრუნველყოფის, შრომისა და დასაქმების სამინისტრო);
— სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
— სახელმწიფო სოციალური დაზღვევის განხორციელება და კონტროლი;
— ქვეყნის სოციალური ბიუჯეტის მომზადება;
— სამუშაო ძალის ბაზრის ჩამოყალიბება და დასაქმების უზრუნველყოფა;
— მშრომელთა და დამქირავებელთა შორის ურთიერთობის პოლიტიკის შემუშავება;
— ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი შრომის სტატისტიკისა და მოსახლეობის ნაკლებად უზრუნველყოფილი ნაწილის რეალური მდგომარეობის შესახებ;
— კადრების მომზადება-გადამზადების ღონისძიებათა კოორდინირება და უზრუნველყოფა.

XIII. ფინანსთა სამინისტრო (ფინანსთა სამინისტრო, საბაჟო კომიტეტი);
— უზრუნველყოფს კონტროლს რესპუბლიკის ბიუჯეტის შესრულებაზე;
— შეიმუშავებს საფინანსო, საგადასახადო, ფულად-საკრედიტო მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის რეკომენდაციებს;
— მინისტრთა კაბინეტს წარუდგენს პროექტს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ;
— არის მთავრობის საფინანსო წარმომადგენელი;
— უზრუნველყოფს გადასახადების აკრეფას;
— ახორციელებს სახელმწიფო საბაჟო პოლიტიკას.

XIV. შინაგან საქმეთა სამინისტრო (პოლიცია, საგზაო პოლიცია, სამოქალაქო თავდაცვა, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის დეპარტამენტი, ლტოლვილთა და განსახლების დეპარტამენტი, სახანძრო დაცვის დეპარტამენტი);
სამინისტროს სათავეში უდგას სამოქალაქო პირი.
— უზრუნველყოფს მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, იცავს საზოგადოებრივ წესრიგს;
— ადგენს სახანძრო წესების დაცვის ნორმატივებს და უზრუნველყოფს მათ შესრულებას;
— აანალიზებს ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მუშაობას და შეიმუშავებს შესაბამის პოლიტიკას და კანონპროექტებს;
— უზრუნველყოფს ლტოლვილთა სოციალურ დაცვას და მათ დაბრუნებას მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე;
— შეიმუშავებს სამოქალაქო თავდაცვის პროგრამას და ქმნის პირობებს აუცილებლობის შემთხვევაში მის განსახორციელებლად.

XV. ჯანდაცვის სამინისტრო;
შეიმუშავებს და ახორციელებს ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამას;
— მონაწილეობს საერთაშორისო პროგრამებში;
— ახორციელებს სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევას და მის კონტროლს;
— ახდენს სამედიცინო დაწესებულებების საქმიანობის კონტროლს;
— ახორციელებს სამედიცინო განათლების ზედამხედველობას;
— უზრუნველყოფს სამედიცინო მრეწველობისა და ფარმაკოლოგიის განვითარებას;
— ახორციელებს სანიტარული და ეპიდემიოლოგიური სიტუაციის კონტროლს.


მინისტრთა კაბინეტი
აღმასრულებელი
სახელმწიფოს მეთაური — პრემიერ-მინისტრი
დამხმარე სამსახურები
საკანონმდებლო
პარლამენტი, წარმომადგენელთა საბჭო, ეროვნული საბჭო, პარლამენტის თავმჯდომარე.
კონტროლის პალატა. საინფორმაციო სადაზვერვო სამსახური. ეროვნული ბანკი. სტატისტიკის სამსახური.
სასამართლო
უზენაესი სასამართლო. საარბიტრაჟო სასამართლო.
კანონი ხელისუფლების შესახებ
გარემოს დაცვის
ეკონომიკის
ენერგეტიკისა და მრეწველობის
ვაჭრობის
თავდაცვის
იუსტიციის
კომუნიკაციისა და ტრანსპორტის
კულტურისა და განათლების
მშენებლობისა და ტერიტორიული განვითარების
საგარეო საქმეთა
სოფლის მეურნეობის
შრომისა და სოციალური დაცვის
ფინანსთა
შინაგან საქმეთა
ჯანმრთელობის დაცვის
სამსახურები
1. გეოლოგიის, გეოდეზიის და კარტოგრაფიის
2. მეტროლოგიისა და სტანდარტების
3. მეტეოროლოგიური
4. მატერიალური რეზერვების
5. ტექნიკური ზედამხედველობის
და სხვა

შესაძლებელია ვინმეს ჩვენი წინადადებები და მთლიანად გეგმა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების რეორგანიზაციისა გადაჭარბებულად, თამამად და რადიკალურადაც კი მოეჩვენოს. ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ ქვეყანამ, რომელიც, ფაქტობრივად, თავსმოხვეულ ომსაც აგებს და შიმშილის პირასაც იმყოფება, სწორედაც რომ რადიკალური ნაბიჯები უნდა გადადგას, მოძებნოს არაორდინარული გამოსავალი ღრმა და ყოვლისმომცველი კრიზისიდან. ცხადია, მხოლოდ ჩვენი გეგმის განხორციელება თავისთავად არ არის პანაცეა. ხელისუფლების რეორგანიზაცია შექმნის იმ აუცილებელ საფუძველს, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს ოპერატიულად და ინტენსიურად გავატაროთ რეალური რეფორმა, დავამყაროთ წესრიგი, მივცეთ ჩვენს მოსახლეობას ხვალინდელი დღის იმედი.

**საქართველოს რესპუბლიკური პარტია,
საპარლამენტო ფრაქცია „რესპუბლიკელები“.**

უწყვეტი სწავლების კომპლექსი: «გამოყენებითი ბიოლოგიისა და ქიმიის უმაღლესი სასწავლებელი და ბუნებათმცოდნეობის კოლეჯი»

აცხადებს მიღებას კოლეჯის მე-10, მე-11 და მე-12 კლასებში

კოლეჯი იძლევა მაღალხარისხოვანი მომზადების გარანტიას საბუნებისმეტყველო ყველა საგანში, აგრეთვე უცხო ენასა და ინფორმატიკაში. კოლეჯის დამთავრების შემდეგ მოსწავლეებს მიეცემათ საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი, აგრეთვე ფართო პროფილის ლაბორანტის დიპლომი. კურსდამთავრებულებს ექნებათ საშუალება ჩააბარონ მისაღები გამოცდები სხვადასხვა ინსტიტუტში, აგრეთვე იმუშაონ ნებისმიერ ლაბორატორიაში. კოლეჯის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში მოსწავლეები ჩაირიცხებიან ზემოხსენებული კომპლექსის ინსტიტუტში მისაღები გამოცდების გარეშე.

კოლეჯში მეცადინეობები ჩატარდება განახლებული მეთოდიკით. ნავარაუდევია მოსწავლეთა ჩართვა შრომით საქმიანობაში მათი სპეციალობის შესაბამისად. გათვალისწინებულია საზაფხულო ბანაკი, სადაც მოსწავლეები შეისწავლიან უცხო ენებს. კოლეჯის რეკომენდაციით მოსწავლეებს შეეძლებათ გააგრძელონ სწავლა საზღვარგარეთ. გათვალისწინებულია შეიქმნას ნახევრად დახურული ტიპის კოლეჯი, სადაც მოხდება განვლილი მასალის განმტკიცება გამოცდილი პედაგოგების ხელმძღვანელობით. სწავლება იწარმოებს ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. განცხადებები მიიღება მე-9, მე-10 და მეთერთმეტე კლასებისაგან.

აუცილებელი დოკუმენტაცია:
1. განცხადება
2. ცნობა განათლების შესახებ
3. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა 286)
4. ოთხი ფოტოსურათი
5. პასპორტი ან დაბადების მოწმობა

საბუთების მიღება და კოლეჯში ჩარიცხვა იწარმოებს 1 ივნისიდან 72-ე საშუალო სკოლის შენობა) ყოველდღე 14.00 სთ-დან 18.00 საათამდე შაბათისა და კვირის გარდა.

მისამართი: ქ. თბილისი, გ. გორგასლის ქ. 2 მე-4 სართული, ოთახი 1.

ცნობებისათვის მოგვმართეთ ტელეფონით: 72-35-74 ან 72-35-60. აგრეთვე, ივნისის თვის ყოველ კვირას 10.00 საათზე ჩატარდება ღია კარის დღე.
სასწავლო წელი დაიწყება 1993 წლის სექტემბერში.

კოლეჯი სამეურნეო ანგარიშზეა.

თურქეთში წამსვლელთა საყურადღებოდ

ფირმა „გრაალი“ მგზავრებს სთავაზობს, თბილისიდან-თურქეთის რესპუბლიკაში იკარუსის ტიპის ავტობუსებით მგზავრობას

შედარებით შეღავათიან ფასებში (კუპონებზე).

ახალი მარშრუტებით.

ფირმა უზრუნველყოფს მგზავრებს სასტუმროთი, მათ დაცვას თბილისიდან-თბილისამდე დამატებითი გადასახადების გარეშე.

ავტობუსები გავლენ ყოველი კვირის ოთხშაბათსა და შაბათს ფირმა „გრაალის“ მიმდებარე ტერიტორიიდან.

ფირმის მისამართია: თბილისი გლდანის ა-მიკრორაიონი, კორპუსი 49 (მეტრო ახმეტელის თეატრის გვერდით).
ტელეფონი: 62-65-27, 62-38-61.
ფილიალი: საბურთალო, ბუდაპეშტის ქ.-1 ტ. 37-06-64.

საქართველო-რუსეთის ფინანსური ასოციაცია
ასრულებს უმოკლეს დროში გადარიცხვებს რუსეთიდან საქართველოში,
თქვენთვის საინტერესო წახალისებით.
ვისაც გაქვთ თანხა გადმოსარიცხი, მოგვმართეთ!
საკონტაქტო ტელეფონებია:
ქ. თბილისში 36-27-74 (10-დან 16 სთ-მდე);
ქ. მოსკოვში (095) 378-79-78.

ქალაქ თბილისის მედიკო-ბიოლოგიური კოლეჯი, რომელიც ფუნქციონირებს წამყვანი სამკურნალო პროფილაქტიკური დაწესებულებების ბაზაზე,

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1993-94 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. მედდის საქმე – ქართული და რუსული სექტორი; 9 და 11 კლასის ბაზაზე შემსვლელთათვის.
2. სამეანო საქმე (ბებია ქალი) – ქართული და რუსული სექტორი. 9 და 11 კლასის ბაზაზე შემსვლელთათვის.
3. ფარმაცია – ქართული და რუსული სექტორი; 9 და 11 კლასის ბაზაზე შემსვლელთათვის.
4. ორთოპედიული სტომატოლოგია (კბილის სატექნიკო) – ქართული და რუსული სექტორი. 9 და 11 კლასის ბაზაზე შემსვლელთათვის.

განცხადებას დირექტორის სახელზე თან ერთვის შემდეგი საბუთები: 1. არასრული და სრული საშუალო განათლების ატესტატი. 2. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ; 3. ოთხი ფოტოსურათი – 3x4. საბუთების შემოტანისას აბიტურიენტებმა თან უნდა იქონიონ პასპორტი (დაბადების მოწმობა) და სამხედრო მიწერის ბარათი.

გასაუბრება ჩატარდება: 9 კლასის ბაზაზე შემსვლელთათვის – 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში ან რუსულ ენაში; (სექტორების მიხედვით). 2. ანატომიაში; 11 კლასის ბაზაზე შემსვლელთათვის – 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში ან რუსულ ენაში; (სექტორების მიხედვით); 2. ბიოლოგიაში.

საბუთების მიღება 15 ივნისიდან 1 აგვისტომდე, 15 საათიდან 19 საათამდე. გასაუბრება ჩატარდება 15 აგვისტომდე; ეტაპობრივად.
მისამართი: ალ. ყაზბეგის გამზირი 27, 52-ე საშუალო სკოლა. ტელეფონი: 39-55-01.

მოქალაქეთა საყურადღებოდ!

საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციულმა შემნახველმა ბანკმა გაითვალისწინეს მოსახლეობის მოთხოვნა და 1993 წლის 5 ივლისის ჩათვლით გააგრძელა 1992 წლის ექსპერიმენტული სავალუტო ლატარიის ბილეთების უკან დაბრუნების ვადა.

ბილეთებს უკან იბრუნებენ შემნახველი ბანკის ქ. თბილისის, რუსთავის, კრწანისის, ბათუმის, ქ. ქუთაისის და თელავის განყოფილებები.

აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ბილეთები უკან აღარ მიიღება.

# ცოცხები ჩქარა!

## (სატირალ-იუმორისტული ინიციატივა)

**უკიდეგანოდ** ელასტიკურია საბაზრო ეკონომიკის პირმშო — სოფელი დიდი ჯიხურეთი. აქ დოლარიანები მერსედესებით დაბქურიან, დოლაპიები — კუპონირებული ვაგონებით, მე კი გარეშეთაგან განდევნილ „აბორიგენი ქათმების“ იმ კატეგორიას მივეკუთვნები, ტროლეიბუსის სახურავზე შესანიშნავად რომ გრძნობენ თავს.

ვისაც მცირეგაბარიტიანთა სიმკვირცხლისა არ გჯერათ, დროდადრო თვალი მიადევნეთ ზემოაღნიშნულ ტრანსპორტს და უთუოდ დარწმუნდებით ხალხური გამონათქვამის — „სიბერემდე-სიქაჩლეო“ — სიბრძნეში.

მაგრამ რაც მართალია, მართალია, სახურავზე მგზავრობას თავისი უპირატესობაც აქვს.

ამგვარი გადაადგილება ზოგავს ოჯახის ბიუჯეტს, აკაჟებს ჯანმრთელობას, იცავს ჯიბე-ჩანთის არქეოლოგიური გათხრებისაგან, ხოლო საგვარეულოს მკვდარსა და ცოცხალს — უხეში ეროვნული ეპითეტებისაგან.

სახურავიდან უკეთ აღიქმება ჩვენი სოფლის ეკონომიკურ-პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული ცხოვრების ამსახველი სურათები.

სიამეს მგვრიან იძულებითი მარხვისაგან წელგაწვრილებული ყმაწვილ-ქალები, ლიპოსუქტური ჭაბუკები, ლონდონ-ლონდაკოლორის დეფიციტით თმაშეღებილნი ბებიები. მაღაზიის ტროტუარზე პადრეზივით ჩამწკრივებული „ბიზნესმენუკების“ სიმრავლე, პირტიტველა გიტარისტთა შემოქმედებითი ექსტაზი და ბოლოს... გუნება-განწყობას მიმღერავს, ბეჭდის ნაცვლად ნაგავში ჩამჯდარი „ბადახში“ — დიდი ჯიხურეთი.

ჩემს სოფელში ნებისმიერ ვირუსს გავრცელების ნოყიერი ნიადაგი აქვს. გამონაკლისი არც პრეზიდენტობის ვირუსი აღმოჩნდა, მართალია, პირველკაცობის მადა კაკას მსოფლ-მხედველობაჩაქვეითებულებსაც აღეძრათ, მაგრამ ერთ ქარქაშში მეორე ხმალი ხომ ვერ ჩაეტევებოდა?! ამიტომ ბევრმა ფირმა-ასოციაციის შექმნით მოიკლა სურვილის ჟია. ახლა მარტო დიდ ჯიხურეთში რაც პრეზიდენტია, იმდენი ცოცხი რომ მომცა, მორონელები და მავნე მწერები ჩემს სოფელში ვეღარ იბაირამებდნენ.

ისე, კაცმა რომ თქვას, ამოუწურავი ყოფილა თავისუფალთა ფანტაზია. ყველა თავისთვის რაღაცას ქმნის, აშენებს, აგროვებს, ჰოდა, მეც გადავწყვიტე ყოველდღიურად მოვაგროვო... ჩემი სოფლის ნაგავი.

დიახ, ვაფუძნებ ასოციაცია „შორაზვეტიას“, ჩემი სახით კიდევ ერთი ვარსკვლავ-პრეზიდენტი მოსწყდება ცას.

ძვირფასო კოლეგებო, მე და ჩემი ამქარი ცოცხის დაჭერით არ შეგაწუხებთ, მხოლოდ თქვენი მხარდაჭერა გვჭირდება. შრომა — ჩვენი, ცოცხები — თქვენი!

**ჩვენი ანგარიშია:** რამდენი ცოცხიც შემოვა ასოციაციაში, იმდენი ქუჩა დასუფთავდება დიდ ჯიხურეთში.

**ლეილა კოშკაძე.**

---

### პარტიებსა და მოძრაობებში

●

# ტრადიციას არ ღალატობენ

**შაბათს** გაიმართა ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის საქალაქო კონფერენცია, რომელმაც იმსჯელა კავშირის მუშაობაზე, განიხილა ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა, დასახა კავშირის მომავალი საქმიანობის გზები.

კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდა ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარე, პარლამენტის წევრი ბ-ნი აკაკი ასათიანი. მან მიმოიხილა შექმნილი ვითარება, უპასუხა შეკრებილთა კითხვებს. ერთ-ერთი კითხვის პასუხად, რომელიც ეხებოდა, საერთოდ, მთავრობისა და კერძოდ, სახელმწიფოს ხელმძღვანელის გადადგომას, მან თქვა: მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ ვიზიარებთ ბ-ნ ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკას, ამ ეტაპზე მისი გადადგომის წინააღმდეგი ვართ, ვინაიდან ამას პოლიტიკური დესტაბილიზაცია და ხელისუფლების ვაკუუმი მოჰყვება.

ასე რომ, ტრადიციონალისტებმა, რომელთა [illegible] ორი ათასს აღწევს (და რომელთა მიმდევარიც, ალბათ, ტრადიციების პატივისმცემელი ყველა ქართველია), არც ამჯერად უღალატეს ტრადიციას. [illegible] ცვლილება [illegible], და დასახეს თანხმობის მიღწევისა და ერის გაერთიანების გზები.

# ნეტავ, როგორი პრეზიდენტი დადგება ირაკლი?

**საქართველოში** ახალი პრეზიდენტი იზრდება! ირაკლი წერეთელი!!! ეს ჩვენთვის ცნობილი გახდა, როცა გამოქვეყნდა მისი ინტერვიუ გაზეთ „ივერია-ექსპრესში“ (10 ივნისი, 1993 წ., ფასი 20 კუპონი). სულ რაღაც 20 კუპონის ფასად გავიგეთ ეს სასიამოვნო ამბავი, ასე მრავლისმეტყველად დასათაურებული: „დღეს რომ პრეზიდენტი გავხდე, 20 წლის შემდეგ რაღა ვიყო?“.

ქართველებს ახლა ერთი საზრუნავიღა დაგვრჩა: დ'არტანიანი რაკი უკვე გვყავს, საჭიროა, როგორმე, თუნდაც ჰუმანური დახმარების სახით, ვიშოვოთ ალექსანდრე დიუმა (მამა), რომელიც დაგვიწერს ახალ რომანს — „ოცი წლის შემდეგ“.

ირაკლი წერეთელს განსაკუთრებული მისია დააკისრა ისტორიამ: არაფრით არ უნდა მისცეს საქართველოს დამშვიდების, შენების, შემოქმედების საშუალება, მისთვის არ არსებობს ავტორიტეტი, რომელსაც შეიძლება გაჰყვეს ერი, თუნდაც ეს იყოს უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, რომელიც ტაძარში სალოცავად მოუწოდებს ხალხს, რათა სატანის მიერ აღმართული მახვილი ააცდინოს და ამით ღვთის ნება აღასრულოს. იგი ხელიდან სტაცებს ილია მეორეს მიკროფონს და ჰყოფნის თავხედობა, ამ კაცთა კაცის წინაშე თვითონ წაიკითხოს „მამაო ჩვენო“, რათა სატანას ბოლომდე მიაყვანინოს საქმე, ხოლო თვითონ თავქუდმოგლეჯილი გაიქცეს — ორლესული ხელშიარი კი არა, მხუთავი გაზიც კი აიცდინოს!

რა გასაკვირია, რომ ახლა ასე უპირისპირდება საერო ხელისუფლებასაც, რაკი ისახება სტაბილიზაციის, თუნდაც ყბადაღებული დეოკუპაციის გზები? წერეთელს სურს, რაც შეიძლება, დიდხანს შეინარჩუნოს ფუნქცია, ხოლო მისი ფუნქცია არასოდეს ყოფილა შენება, მისი ფუნქცია ყოველთვის იყო მონაწილეობა ნგრევაში მხოლოდ ისე, რომ ეს ნგრევა პირადად მას არ შეხებოდა. სწორედ ამიტომ, სავსებით ბუნებრივი იყო, როცა იგი გვერდით ედგა გამსახურდიას, ბუნებრივი იყო გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლისთანავე მისგან განდგომა, ბუნებრივი იყო ოპოზიციაში მისი მოხვედრა და როცა საქმე საქმეზე მიდგა, როცა გადამწყვეტი ბრძოლის თავიდან აცილება შეუძლებელი იყო, როცა მიტინგები დენთის სუნმა შეცვალა, ასევე ბუნებრივი იყო ორჭოფული პოზიციის დაკავება, საერთოდ მიმალვა და მხოლოდ ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ გამოჩენა, რათა შესაფერის დროს კვლავ ახალი მიტინგების „ავორიებისთვის“ შეეწყო ხელი. ირაკლი წერეთელი ყოველთვის ყველას ოპოზიციონერია, მას „ძალაუფლება არ უნდა“, მართლა არ უნდა, რადგან მაშინ ფუნქციას დაკარგავს, თავის თავს ხომ ვერ დაუპირისპირდება! მაშინ ხომ ირაკლი წერეთელი ვეღარ იქნება!

იგი ან ბუნებით ასეთია, ან გულუბრყვილო რომანტიკოსია, რომელსაც იყენებს ნებისმიერი ოპოზიციური ძალა. მთავარია, არსებობდეს ოპოზიცია, ვის წინააღმდეგაც არ უნდა იყოს იგი მიმართული, და ირაკლი წერეთელსაც უჩნდება საქმე. ამიტომ ედგა იგი გვერდით გამსახურდიას, ვიდრე საქართველოს სათავეში კომპარტია იყო, ამიტომ ედგა იგი ჯაბა იოსელიანს, როცა გამსახურდიამ „მხედრიონის“ დარბევა დაიწყო, თენგიზ კიტოვანს და გვარდიას, გაფიცულ ტელეჟურნალისტებს და ინტელიგენციას, ანუ გამსახურდიას განმარტებით „ცრუ-ინტელიგენციას“, და ამიტომ უპირისპირდება ახლა იმავე ინტელიგენციას, რომელსაც გამსახურდიას სტილში უწოდებს „საბჭოთა ეპოქაში აღზრდილ და მონობაში დაბერებულ ვითომ ინტელიგენციას“ და ამიტომაც მზად არის ისევ „მრგვალ მაგიდასთან“ ითანამშრომლოს: „ვეპატიჟებით დღის 12 საათზე ყველა პოლიტიკურ პარტიასა და ორგანიზაციას, რომელიც თავის თავს აკუთვნებს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ეს ორგანიზაციები გაერთიანებულნი არიან ეროვნულ სათათბიროში, აგრეთვე, წარმოდგენილნი არიან „მრგვალ მაგიდაში“ და ნაწილობრივ საქართველოს პარლამენტში“.

ცოტა-ცოტა ტყუილებიც უყვარს ირაკლი წერეთელს, „ცოტა“ თავისი დამსახურების გაზვიადებაც: „თუ ვინმე უპირისპირდებოდა მას (გამსახურდიას — რ. მ.) მკვეთრად და რადიკალურად — ეს მე ვიყავი... მოვუწოდე ყველას, არ მიემართათ ძალადობისათვის და გაზაფხულამდე საერთოდ შეეწყვიტათ მანიფესტაციები რუსთაველზე“. ასეთი მოწოდების ავტორი თუ იყო „მკვეთრად და რადიკალურად“ დაპირისპირებული გამსახურდიასადმი, რაღა ითქმის იმავე თენგიზ კიტოვანზე? სამწუხაროდ, გამსახურდიამ არ შეისმინა წერეთლის შეგონება, თვითონვე არ მოიშალა მიტინგები რუსთაველზე და ოპოზიციას „ყვავილები ესროლა“, რადგან შესანიშნავად ესმოდა, რომ ძალაუფლების შენარჩუნება საერთაშორისო იზოლაციისა და მოახლოებული ეკონომიკური კატასტროფის, სოციალური აფეთქების პირობებში მხოლოდ სამოქალაქო ომით თუ შეიძლებოდა. ამიტომ არ იყო შემთხვევითი არც 2 სექტემბრის მიტინგის დარბევა, არც რუსთაველის პროსპექტზე შემდგომ განხორციელებული ძალისმიერი აქციები, არც პრეზიდენტის ცოლისძის ლელე არჩვაძის ბრძანება (!) ცეცხლის გახსნის შესახებ.

რა მთავარ მოთხოვნებს აყენებს დღეს ირაკლი წერეთელი? ეს არის ტრადიციული „საქართველოს უპირობო და უსწრაფესი დეოკუპაცია“, მაგრამ მთავარია „გადადგეს შევარდნაძე და საქართველოს პარლამენტმა გააუქმოს კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“. ამის შემდეგ: „მოწვეულ იქნას ეროვნული ყრილობა საქართველოს პარლამენტისა და საქართველოში არსებული ყველა პოლიტიკური ძალისა და ორგანიზაციის მონაწილეობით. აქ იგულისხმება ყოფილი უზენაესი საბჭოც და ყოფილი პრეზიდენტიც... ნამდვილი მანიფესტით შერიგება და თანხმობა უნდა გავრცელდეს როგორც შევარდნაძეზე, ასევე გამსახურდიაზე“.

წერეთლის „ნამდვილი მანიფესტით“ გაერთიანებული საქართველო ძნელად წარმოსადგენია, მით უმეტეს, ასეთი ანალიზის შემდეგ: „რაც შეეხება ზვიად გამსახურდიას, მე მას ერთადერთ პრეტენზიას ვუყენებ — მან ხელისუფლებაში ვერ ივარგა, თორემ თავის მიზნით და მისწრაფებით იგი ისეთივე სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი, როგორც მე — ძლიერი, დიდი საქართველოს იდეით. შევარდნაძეს კი არავითარი დასაყრდენი ქართველ ერში არ გააჩნია, იგი მხოლოდ მაშინ არის კარგი ხელმძღვანელი, თუ ზემდგომი ჰყავს, რომლის მითითებებიც უნდა შეასრულოს, ხოლო როდესაც თავად არის ლიდერი — ვერაფერს აკეთებს... შევარდნაძე კარგი შემსრულებელია და სხვა არაფერი... თვითონ შეიძლება კიდეც უნდა, რომ ისევე იყოს გაჟღენთილი, როგორც მე ვარ, როგორც გამსახურდია და მერაბ კოსტავა იყო“.

ასეთი ანალიზის ავტორს, რომელიც 20 წლის შემდეგ გვპირდება პრეზიდენტად მოვლინებას, მართლაც სჭირდება გაზრდა! იგი იმდენად შორს არის თუნდაც საშუალო პოლიტიკოსის დონიდან, რომ მეეჭვება, 20 წელი ეყოს! საკმარისია ითქვას, რომ მისი შეჯიბრი ეროვნული იდეის საკითხში პატარა ბიჭების დავას მოაგონებს, ვის უფრო მაგარი კუნთები აქვსო: სახეზე წამოჭარხლდებიან ხოლმე, როცა მკლავზე კუნთებს იბერავენ. ნუთუ ვერ გამოვედით ბიჭობის ასაკიდან, რომ ერთმანეთს არ წამოვაძახოთ: არა, მე უფრო ეროვნული ვარ და არა, მეო?

ბატონ ედუარდ შევარდნაძეს ჩემი დაცვა არ სჭირდება, მით უმეტეს როცა თვით ირაკლი წერეთელი ბრძანებს: „მე გულწრფელად გამიხარდა, რომ მისი სახით ქართველი კაცი ასეთი პატივით მიიღო ჩინეთმა და არც შემშურებია, რადგან შურიანი კაცი არა ვარ“.

კარგია, რომ წერეთელი არ არის შურიანი! მაგრამ როგორ ფიქრობს იგი, ასეთი პატივი რატომ არ მიაგეს და საარტილერიო ზალპებით რატომ არ გაუმართეს ვინმე სხვა ქართველს, როცა, ერთი ანეკდოტისა არ იყოს, მთელი საქართველო მილიარდიანი ჩინეთის ერთ სასტუმროში შეიძლება მოთავსდეს? მაშ, შემსრულებელია და მეტი არაფერი?

წერეთელს განუზრახავს, რომ მშვიდობიანი მიტინგებით აიძულოს შევარდნაძე გადადგეს: „თუ მილიცია დაგვეტაკება, მათ ვცემთ. ჩვენ ზვიადისტები კი არა ვართ... ჩვენს პარტიაში ძლიერი მამაკაცები არიან“, — ამაყად აცხადებს კუნთებიანი ბიჭი!

მაგრამ ყველაფერზე საინტერესო, რამაც, ეტყობა, იმედით უნდა აღგვავსოს, მისი შემდეგი სიტყვებია: „ახლა რომ ხელისუფლებაში პირველ კაცად მოვიდე, 20 წლის შემდეგ ვინღა უნდა ვიყო?... ჩემი მიზანია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა — თურქეთის მიერ მიტაცებული მიწების დაბრუნება. ახლა რომ პრეზიდენტი გავხდე, რა ვქნა — ომს ხომ ვერ დავიწყებ? მაგრამ როცა საქართველო იმდენად მომძლავრდება, რომ ამის გაკეთება შეეძლება — მაშინ მოვალ ხელისუფლებაში“.

აქედან ირკვევა, რომ ირაკლი წერეთელი კი არა, თვითონ საქართველო არ ყოფილა მზად მის გასაპრეზიდენტებლად. მოდით, მეგობრებო, ერთი კარგად მოვმძლავრდეთ, ამისთვის 20 წელიწადი საკმარისი ყოფილა, და შემდეგ მივცეთ საქართველოს დროშა პრეზიდენტ წერეთელს და იგი წაგვიძღვება ტრაპიზონისაკენ!

## სათქმელი უნდა ითქვას

მეტი არაა ჩვენი მტერი, რომ საქართველო არა თუ მომძლავრდება, არამედ საერთოდ იარსებებს, თუ ირაკლი წერეთელს დაუჯერა?

**P.S. როდესაც ზვიად გამსახურდიას კრიტიკა დაიწყო კომუნისტურმა პრესამ, ქართველობამ ყური ცქვიტა: რასაც ესენი აგინებენ, კარგი უნდა იყოსო. გამსახურდიას ყოველ კრიტიკულ შენიშვნაზე ქულა ემატებოდა. ასე რომ, ძვირფასო ირაკლი, ბატონების რევაზ ჯაფარიძის, თამაზ წივწივაძის და სხვათა შემდეგ წერილობით თუ რამე საყვედურს გვეუბნებით, ზეპირად კი, პარლამენტის სხდომაზე, უფრო ადრეც გავიგეთ თქვენი კრიტიკა, ეს ყველაფერი თქვენს სასარგებლოდ ხდება. ქართველი კაცის ჩვეული ბუნება ხომ იცით, ვისაც აკრიტიკებენ, ის მართალი ჰგონია. რა თქმა უნდა, კრიტიკული შენიშვნებისთვის არავითარ საზღაურს არ გთხოვთ, ერთადერთი რამ მინდა ვისურვო: ნუ კაცო, 20 წელი რა მაცდევინებს, იქნებ აქამდე ვერც მივაღწიო, მოდი, ახლავე გახდი პრეზიდენტი და გვიშველე რამე!**

**რომან მიმინოშვილი.**

გიწვევთ სასწავლებლად
საქართველო-საფრანგეთის ერთობლივი უმაღლესი სასწავლებელი
ESM-თბილისი აცხადებს მიღებას
1993-1994 სასწავლო წლისათვის.

ESM-თბილისი ამზადებს ფინანსების, მარკეტინგის, საერთაშორისო კომერციული საქმიანობის მართვის სპეციალისტებს (ESM-International-თან ერთად) და კომერციის დარგის მენეჯერს (გფრ-ის ქ.მოსბახის პროფესიულ აკადემიასთან ერთად). სწავლების ვადა 5 წელია. სწავლების ფორმა - დღის დასწრებული. გათვალისწინებულია სტაჟირებები საზღვარგარეთ. სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე. სწავლება ფასიანია. სწავლების წარმატებით დამთავრების შემთხვევაში სტუდენტი მიიღებს შესაბამისად ESM-International-ის ან მოსბახის პროფესიული აკადემიის დიპლომს.

აბიტურიენტები მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ დისციპლინებში მოცემული თანმიმდევრობით:

მათემატიკა (ტესტები), ქართული ენა (წაკითხულის შინაარსი), უცხო ენა - ინგლისური, ფრანგული, გერმანული (ტესტები).

ESM-თბილისში მიღების წესების შესაბამისად:

1. სტუდენტებად მიიღებიან საშუალო, საშუალო-სპეციალური და არასრული უმაღლესი განათლების მქონე პირები 25 წლის ასაკამდე.

2. აბიტურიენტებმა განცხადებას მისაღებ გამოცდებზე დაშვების შესახებ თან უნდა დაურთონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) განათლების შესახებ დოკუმენტის დედანი;

ბ) 6 ფოტოსურათი (3X4);

გ) სამედიცინო ცნობა (ფორმა No086);

დ) საგარანტიო წერილი სწავლების საფასურის გადახდის შესახებ.

პასპორტის წარმოდგენა აუცილებელია საბუთების ჩაბარებისა და გამოცდებზე გასვლის დროს.

3. საბუთები მიიღება ESM-თბილისის მიმღები კომისიის სამდივნოს მიერ 21 ივნისიდან 9 ივლისის ჩათვლით ყოველდღე (გარდა კვირისა) 11 საათიდან 18 საათამდე. ოთახი 409, 401

4. მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებული მომსახურების ხარჯების დასაფარავად აბიტურიენტებმა უნდა გადაიხადონ დამატებითი თანხა. ჩაჭრის ან ჩარიცხულთა სიაში არ მოხვედრის შემთხვევაში აღნიშნული თანხა აბიტურიენტებს უკან არ უბრუნდებათ.

5. მისაღებ გამოცდებზე აბიტურიენტთა შეფასება იწარმოებს 10 ქულიანი სისტემით. არადამაკმაყოფილებლად ჩაითვლება 0 ქულიანი შეფასება.

6. ESM-თბილისში აბიტურიენტთა ჩარიცხვა მოხდება მისაღებ გამოცდებზე დაგროვილ ქულათა ჯამის მიხედვით.

7. მისაღები გამოცდები ჩატარდება 12-დან 16 ივლისის ჩათვლით. დანიშნულ დროს გამოცდაზე გამოუცხადებლობის ან არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში აბიტურიენტი შემდეგ გამოცდაზე არ დაიშვება.

ჩარიცხულთა სიები გამოქვეყნდება 18 ივლისს.

8. ღია კარის დღე ჩატარდება ამა წლის 26 ივნისს 12 საათზე.

ჩვენი მისამართია: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 40 (მეტრო "დელისთან"). ESM-თბილისი.

ESM თბილისი/TBILISI

ცნობებისათვის დარეკეთ: 39-16-73 39-44-57

### კარატე

**ვერცხლის** მედლით ბრუნდება სამშობლოში ქართველი კარატისტი ზაზა ტოგონიძე (70 კგ). მან მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა წააგო ხერსონელ ანდრეი შაპართან.

კიევში დასრულებულ უკრაინის ღია ჩემპიონატზე სპორტის ამ ვაჟკაცური სახეობის ერთ-ერთ მიმართულებაში — კიოკუსინკაიში ასპარეზობდნენ აგრეთვე უნგრეთის, ლატვიის, ლიტვის, ლიბანის, რუსეთისა და რუმინეთის წარმომადგენლები.

### მაგიდის ჩოგბურთი

**ცნობილი** ქართველი სპორტსმენის — კახი კობლაძის მშობლიურ სოფელში — ველისციხეში (გურჯაანის რაიონი) დამთავრდა მაგიდის ჩოგბურთის ამ აღიარებული ოსტატის ყოველწლიური ტრადიციული მემორიალი, რომელშიც რესპუბლიკის ხუთი რაიონის წარმომადგენლები თამაშობდნენ. ტურნირი მხოლოდ ერთეულთა თანრიგებში მოეწყო.

როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის იმარჯვეს თბილისელებმა — დიანა კალანტაროვამ და ლევან ბურკაძემ. ქალთა შეჯიბრების მეორე პრიზი მოიპოვა მათმა თანაქალაქელმა ნატო აბაშიძემ, ხოლო მესამე ადგილზეა ამბროლაურელი თინათინ ჯინჭარაძე. დედაქალაქის გუნდის წევრებმა — დავით სტეფანიამ და პაატა ბარამაშვილმა მეორე და მესამე ჯილდოები დაიმსახურეს ვაჟთა დავაში.

### ავტოსპორტი

**მსოფლიო** ჩემპიონატის მეშვიდე ეტაპს — „კანადის დიდი პრიზის“ გათამაშებას „ფორმულა-1“-ის კლასში ჟილ ვილნევის სახელობის ავტოდრომმა უმასპინძლა. საბოლოოდ პრიზიორები გახდნენ ფრანგი ალენ პროსტი, გერმანელი მიხაელ შუმახერი და ინგლისელი დეიმონ ჰილი.

მერვე ეტაპის წინ საერთო ჩათვლაში კვლავ დაწინაურდა პროსტი — 47 ქულა, რომელიც 5 ქულით უსწრებს ბრაზილიელ აირტონ სენას (იგი კანადაში ფინიშამდე ვერ მივიდა). მესამე ადგილზეა ჰილი — 22 ქულა.

### კალათბურთი

**ევროპის** ჩემპიონის ტიტული ქალთა შორის ზედრისათვის მოულოდნელად მოიპოვეს ესპანელმა კალათბურთელებმა, რომლებმაც ფინალური მატჩი მოუგეს ფრანგებს — 65:53.

ბრინჯაოს მედლები გადაეცათ მასპინძლებს — იტალიის ნაკრები გუნდის წევრებს.

• • •

კალათბურთის ეროვნული ასოციაციის ფინალური სერიის სამი მატჩის შემდეგ „ჩიკაგო ბულზი“ ამარცხებს „ფინიქს სანზს“ — 2:1.

სტარტზე სტუმრად მოპოვებული ორი გამარჯვების შემდეგ ჩიკაგოელებმა მესამე დამატებით ტაიმში მარცხი იწვნიეს მესამე შეხვედრაში — 121:129.

• • •

ქართული კალათბურთის ამაგდარი მოღვაწის — შალვა დიასამიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირის ფინალში „მართვე-2“-მა მოუგო „მართვე-1“-ს 67:66. გამარჯვებულთა მწვრთნელია გივი ჩიხრაძე.

ასპარეზობის პრიზიორებმა საპრიზო ფონდი — 60 000 მანეთი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ანგარიშზე ჩარიცხეს.

### ფეხბურთი

**ავსტრიის** ჩემპიონი გახდა ვენის „აუსტრია“, რომელმაც ბოლო ტურში ანგარიშით 4:0 სძლია დედაქალაქის მეორე გუნდს — „რაპიდს“ და მხოლოდ ბურთების უკეთესი სხვაობით გაუსწრო ზალცბურგის „აუსტრიას“.

• • •

ესპანეთის ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურში ოქროს მედლების ორივე მაძიებელმა 2-2 ქულა ჩაიწერა აქტივში: „რეალი“-„ატლეტიკო“ — 1:0, „ოსასუნა“-„ბარსელონა“ — 0:1. მადრიდის „რეალი“ კვლავ 1 ქულით წინაა მთავარ კონკურენტთან დავაში, მაგრამ დასკვნით ტურში მძიმე გასვლითი შეხვედრა ელის კანარის კუნძულებზე „ტენერიფესთან“. კატალონელები ამავე დღეს შინ ითამაშებენ სან-სებასტიანის „რეალ-სოსიედადთან“.

ტურისტული ფირმა „ბარისახო“

ტურისტული ფირმა „ბარისახო“ გთავაზობთ ტურისტულ მოგზაურობას ჩინეთში, ქ. [illegible] ყოველ ორშაბათს. მგზავრობა თვითმფრინავით თბილისი-[illegible]-თბილისი. საგზურის [illegible] 207 ათასი მანეთი და 65 დოლარი. დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ზ. [illegible] ქ. № 5 ([illegible]) ტელ. 95-43-95.

### ხსოვნა

# აკაკი კაკაძე

გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კონკრეტულ-სოციოლოგიურ კვლევა-ძიებათა განყოფილების გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი აკაკი ნესტორის ძე კაკაძე.

დაიბადა 1920 წელს თბილისში. სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ აქტიურად ჩაება სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობაში. აკ. კაკაძე ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობას ეწეოდა მოსახლეობის განსახლების, მიგრაციული და დემოგრაფიული პროცესების სოციალური ასპექტების შესწავლის ხაზით. მან საქართველოს რაიონებში ჩატარებული გამოკვლევების შედეგად გამოავლინა და დაადგინა თანამედროვე დემოგრაფიული პროცესების ადგილობრივი თავისებურებანი და ზოგადი კანონზომიერებანი. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე ათეული სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის მონოგრაფიები: „საქართველოს მთის მოსახლეობის თანამედროვე მიგრაცია“, „მოსახლეობის მიგრაცია და საქართველოს საშუალო ქალაქების სოციალური განვითარების პრობლემები“ და სხვ. მის სამუშაო მაგიდაზე დარჩა გამოსაქვეყნებლად გამზადებული კონკრეტული სოციოლოგიის სახელმძღვანელო.

აკაკი კაკაძე იყო რამდენიმე სამეცნიერო საბჭოს, აგრეთვე სოციოლოგიური ასოციაციის გამგეობის წევრი, ეწეოდა ნაყოფიერ პუბლიცისტურ მოღვაწეობას. აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს პარლამენტის დემოგრაფიული აღმშენებლობის და პოლიტოლოგიის ინსტიტუტში.

აკაკი კაკაძე გამოირჩეოდა კეთილშობილებით, თავმდაბლობით, მიმტევებლობით და, ამავე დროს, პრინციპულობით.

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება; ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი; საქართველოს პარლამენტის დემოგრაფიული აღმშენებლობის და პოლიტოლოგიის ინსტიტუტი.**

LGV გთავაზობთ
ბანკებს

გახდით ელექტრონული საგადასახადო სისტემა SPACARD-ის მომხმარებლები, რის შემდეგაც მნიშვნელოვანწილად გაიზრდება თქვენს მიერ წარმოებული საბანკო ოპერაციების სისწრაფე და ელვისებურად განახორციელებთ საანგარიშსწორებო-საგადასახადო ოპერაციებს.

სისტემა უზრუნველყოფს:
– ბანკებს შორის საანგარიშსწორებო-საგადასახადო ოპერაციების წარმოებას ელექტრონული საფინანსო დოკუმენტების საშუალებით;
– საანგარიშსწორებო-საგადასახადო ოპერაციების წარმოებას ბანკსა და მის კლიენტებს შორის;
– ელექტრონული დოკუმენტების გარანტირებულ დაცვას ფალსიფიცირებისაგან, ან გახმაურებისაგან (მომხმარებლის იდენტიფიცირებისათვის გამოიყენება სპეციალური ჰოლოგრაფიული ბარათები).

მომავლისათვის გათვალისწინებულია სისტემის გაერთიანება ისეთ საერთაშორისო საბანკო სისტემებთან, როგორიცაა SWIFT, NASDAQ და სხვ.

ჩვენ შემენილი გვაქვს განსაკუთრებული უფლება ელექტრონული საგადასახადო სისტემა SPACARD-ის შემენასა და გამოყენებაზე.

იურიდიულ და ფიზიკურ პირებს

ჩართეთ თქვენი კომპიუტერი გლობალურ კომპიუტერულ ქსელში, რის შემდეგაც შესძლებთ ყოველდღიურად მიიღოთ და გასცეთ კომერციული და სხვა სახის ინფორმაცია ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში და მონაწილეობა მიიღოთ კომპიუტერული ბირჟის საქმიანობაში.

ჩვენი მისამართია: თბილისი, კანდელაკის ქ. 27,
ტელეფონი: 39-32-37, ფაქსი 37-42-04, ტელექსი
212172 СОФА

ფირმა „ლგვ“ გთავაზობთ ორგანიზაციებსა და კერძო პირებს როგორც ნაღდ, ასევე უნაღდო ანგარიშსწორებით ორი სახის მაღალხარისხოვან წებოს:

1. წებო გერმეტიკი — რომელიც გამოიყენება პარკეტის, ლინოლიუმის, ქვის, მინის დასაწებებლად. არის საუკეთესო საშუალება სველი წერტილების გერმეტიზაციისათვის.
2. წებო უნივერსალი — გამოიყენება ფეხსაცმლის წარმოებაში, ტყავისა და რეზინის დასაწებებლად.
3. ფირმა „ლგვ“ ასევე გთავაზობთ უცხოური წარმოების ტელექსს.

ტელ: 37-42-10,
საღამოს საათებში ტელ: 36-27-78.

### დაზუსტება

**ჩვენი გაზეთის 15 ივნისის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „ნახევარი ჭიქა წყლის ფილოსოფია, ანუ იმპერიის ნანგრევებში მოყოლილი საქართველოს ეკონომიკა“ მესამე სვეტის მეორე აბზაცი უნდა იკითხებოდეს: „ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ 1993 წელს 150 მლრდ. მანეთი 1989 წლის ფასებში შეადგენს არა უმეტეს 700-750 მილიონ მანეთისა, ხოლო ბიუჯეტის პროგნოზის 48 მლრდ. მანეთი მხოლოდ 200-240 მილიონ მანეთს“. დანარჩენი როგორც ტექსტშია.**

მთავარი რედაქტორი გურამ ბოგიაშვილი.

○ მისამართი, 380096, თბილისი, ვ. კოსტავას ქ. № 14.
○ ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-78-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0466.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА